სტიქიური ცეცხლი პოლიტიკურ ხანძარში არ უნდა გადაიზარდოს!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდ-ვური სიტყვაა, ტყეიოებით და ჭიბებით ბეჭ-თის გაცანა ყველა უკარბისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 23 აგვისტო. 2017 წ. №169 (8306), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბორჯომის ხეობაში გაჩენილ ხანძარს 12 ჰექტარზე მეტი ტყე შეეწირა!

იხ. 2 გვ.

4

უილიამ კორტნი: რუსეთი შესაძლოა, აფხაზეთის ანექსიას შეეცადოს, ისე როგორც ეს ყირიმში მოხდა!!!

ქართველი შფოთისთავის „საქმენი საგმირონი“ ქართველების უმრავლესობას სააკაშვილმა თავი შეაძულა 7

დემაგოგიის ჭაობში

აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ გრძელდება ქართველი ერის გენოციდი!

რას აკეთებს ქართული დიპლომატია?

5

საფრთხე, რომელიც სამხრეთ ოსეთში ქართულ სკოლებს ემუქრება 8

ტრამპი რუსეთის მოქალაქეებს ამერიკაში არ უშვებს

როსტომ ჩხეიძის „ეკლის გვირგვინის“ გამო

6

იოსებ ჭუმბურიძე:

ეშმაკის ქვა და მოურჩენელი ტკივილი

პოლიტიკური ხანძარი,

ნუთუ ჩვენი მამულიშვილური გრძნობები მხოლოდ მაშინ უნდა აგვენთოს, როცა თოფ-იარაღასხმული მტერი დაგვესხმის თავს და დაიწყებს ქვეყნის უმოწყალოდ რბევას? სხვათა შორის, ძველ ფეოდალურ ხანაშიც კი, როცა ერთ რომელიმე სამთავროს გარე მტერი შეუტევდა ხოლმე, მეზობელი, მომიჯნავე სამთავრო მტრულადაც რომ ყოფილიყო განწყობილი, მტრობას უმალ ივიწყებდა და მეზობელ სამთავროს თავის ჯარს მიაშველებდა. საერთო მტერი ხშირად ერთ საერთო ძალად კრავდა ხალხს, რომელსაც ერთიანი სამშობლოს დაცვის გრძნობა აერთიანებდა. რასაკვირველია, იყო სხვა შემთხვევებიც, მაგრამ ძირითადად ყოველთვის სჭარბობდა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“...

ეს ძველი „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“, რაც მუდამ ახასიათებდა ჭეშმარიტ ქართველს, ამ დღეებში ბორჯომში გაჩენილმა ხანძარმა გამახსენა. თანაც მწარედ გამახსენა და რატომ მაინცდამაინც მწარედ, ახლავე ვიტყვი.

ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე აშკარა გადაწვის საშიშროების წინაშე დადგა! ბორჯომის გადაწვა და გადაბუგვა იგივე საქართველოს თვალების დათხრა და დაგონჯებაა. სწორედ ამიტომაც შეიქმნა მთელ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, ამიტომაც დადგა ფეხზე თითქმის მთელი ქვეყანა.

თითქმის მთელი ქვეყანა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ქვეყნის ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა, დროის გამოცდას ვერ გაუძლეს. სამარცხვინოდ ჩაიჭრნენ და ხალხს თავიანთი ნამდვილი ანტისახელმწიფოებრივი სახე დაანახვეს.

იმის მაგივრად, რომ თავიანთი ანგარებიანი პოლიტიკური ხანძრისთვის დროებით მაინც ექციათ ზურგი და ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ქვეყნისთვის ფრიად საშიში ხანძრისთვის დაეთმოთ მთელი ყურადღება, იმის მაგივრად, რომ თავიანთი სამუქთახოროდ გაუთავებლად აყბედებული პარტიები ამ საშინელი ხანძრის ჩასაქრობად წარემართათ, ყოველ შემთხვევაში, რომელიმეს სურვილი მაინც გამოეთქვა, რა დროს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზეა ლაპარაკი, ჩვენც, როგორც ქართველები, ხალხისა და მთავრობის გვერდით დავდგეთ, ჩვენი წილი ცეცხლი ჩავაქროთო, თავიანთ პოლიტიკურ ოფისებში შეკეტილები, ისინი კვლავ და კვლავ ანტისახელისუფლებო ოპოზიციურ პოლიტიკურ ცეცხლს აღვივებდნენ. და, ალბათ, არც ის არის გამორიცხული, რომ ბორჯომის ხანძარს თავიანთი ბრძოლის თანამონაწილედ განიხილავდნენ.

არადა, რით უნდა ავხსნათ ის ყოვლად სამარცხვინო ამბავი, რომ ამ ყოვლისმომცველი ხანძრის ჟამს ხალხს ბორჯომში არ დაუნახავს ვითომ ქვეყნის „გადამრჩენელი“ არც ბაქრაძე (დანა-ჩანგლით რომ მოგვიწოდებდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლას!), არც ბოკერია (ერთ დროს უშიშროების საბჭოს ბიუჯეტის ფულიყლაპია) თავის ტანწერწეტა თამართან ერთად, არც ვითომ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი ვაშაძე, არც სააკაშვილის საარჩევნო კომისიის მოსყიდული თავმჯდომარეები ხარატიშვილი და თარხნიშვილი, არც აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისიის ვითომ შემსწავლელი პაატა დავითაია (აფსუს, რა სახელს აფუჭებს!), არც ყოვლად გაუგებარი პოლიტიკური ფიზიონომიის ქარდავა და, რაც მთავარია, პირდაპირ საკვირველია, რომ იმ ღამეს ბორჯომში მთავარ მეხანძრედ არა ჩანდა ამჟამინდელი ოპოზიციური ძალების თვალსაჩინო ცეცხლფარეში ნათელაშვილი, რომელმაც ბოლოს მაინც მოტვინა და სხვათაგან განსხვავებით, „გაიმეხანძრა“ თავი.

საერთოდ მთლიანად ოპოზიციამ, როგორც იტყვიან, აშკარად „ჭამა“ ეს უბედური შემთხვევა, ჩვეულებისამებრ, თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა.

ან იქნებ სულაც განგებ მოიქცა ასე იმ იმედით, რომ „ოცნების“ ხელისუფლება იმ ღამეს ბორჯომის ხანძარს ემსხვერპლებოდა და ოპოზიცია საეჭვო პოზიციის მქონე პრეზიდენტთან ერთად უმტკივნეულოდ აღმოჩნდებოდა ქვეყნის სათავეში.

ასე თუ ისე, ამ ხანძარმა ძალიან ბევრ რამეს მოჰფინა შუქი და მოყვარეცა და მტერიც ყველა თავ-თავისი ნამდვილი სახით გამოაჩინა.

გურამ წიკლაური

P. S. ბოლოს მაინც უნდა ითქვას, რომ ნაციონალებმა თავიანთ მავნებლურ ტრადიციას არ უღალატეს და „ცრუსთავი-2“-ის გახმიანებით ხელისუფლება მაინც დაადანაშაულეს, „სიზანტე“ დაუწუნეს, დროზე ვერ იმოქმედაო, და ნაილაჯევი კრიტიკის დროს შინაგან კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. განსაკუთრებით ნადირაშვილის ქალი და გიორგი ბარამიძე ატიკტიკდნენ ჩვეული „დედა გეტირათ“ ტონით...

ბორჯომის ახლოს გაჩენილ ხანძარს 12 ჰექტარზე მეტი ტყე შეეწირა!

ხანძრის ჩასაქრობად შსს-ის 500 თანამშრომელი იყო მობილიზებული

ბორჯომის ხეობაში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 500 თანამშრომელი ჩაერთო.

„წუხელ, მთელი ღამის განმავლობაში, ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული იყო 300-მდე მეხანძრე. ასევე, დღეს დილით მათ შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 500 თანამშრომელი. პროცესში ასევე ჩართულია შსს-ს ორი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ერთი ვერტმფრენი, რისთვისაც მადლობას ვუხდი. ამ ეტაპზე ხანძრის ლოკალიზება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ უკეთესობა გვაქვს იმასთან შედარებით, რაც წუხელ გვქონდა. მე იმედს ვიტოვებ, რომ ამინდი ხელს შეგვიწყობს და მოგვეცემა იმის საშუალება, რომ მოვახდინოთ ხანძრის ჯერ ლოკალიზება, შემდეგ ლიკვიდაცია“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

მოსახლეობის გაზმომარაგებას საფრთხე არ ემუქრება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ასევე, შეუფერხებლად მიეწოდება ელექტროენერგია.

მოსახლეობის გაზმომარაგებას საფრთხე არ ემუქრება

ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ხანძრის სალიკვიდაციო საგანგებო შტაბის მუშაობაში მონაწილეობს.

მინისტრის განცხადებით, ბორჯომ-ბაკურიანის დამაკავშირებელი 300 მმ-იან გაზსადენი, რომელიც ხანძრის ზონიდან დაახლოებით 4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, შეუფერხებლად ფუნქციონირებს. ხანძრის ზონაში მცხოვრები

<u>იან კელი:</u> ვლოცულობთ მამაცი მეხანძრეებისთვის!

ბორჯომში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციის პროცესში საქართველოს დასახმარებლად აშშ მზადაა. განცხადება ამის შესახებ გუშინ იან კელიმ გააკეთა:

„ჩვენ გვქონდა მჭიდრო კავშირი საქართველოს მთავრობასთან გუშინდელი დღიდან მოყოლებული და ეს კავშირი დღესაც გაგრძელდა. სიტუაცია არის რთული, ხანძრის ლიკვიდაციაში ძალიან ბევრი მეხანძრეა ჩართული და ზოგადად არის რთული სიტუაცია. ჩვენ, როგორც საქართველოს პარტნიორებს, გვსურს, მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ საქართველოს ამ ძალისხმევაში, რომ მოახდინოს ხანძრის ლიკვიდაცია. ჩვენ გავაგზავნეთ დამატებითი მოთხოვნა და დავუკავშირდით ამერიკელი სამხედროების ევროპულ სარდლობას, რომელიც გერმანიაშია. ასევე USAID-ს და ვიკვლევთ იმ შესაძლებლობებს, კიდევ რითი შეგვიძლია დავეხმაროთ საქართველოს ამ ძალისხმევაში. ვიცით, რომ მეზობელი ქვეყნები დაეხმარნენ საქართველოს და გამოგზავნეს გარკვეული ტიპის ტექნიკა. ჩვენ დავრჩებით მჭიდრო კონტაქტზე და კავშირზე საქართველოს მთავრობასთან. ჩვენი ფიქრებით და ლოცვებით ვართ მამაც მეხანძრეებთან, რომლებიც ებრძვიან ამ სტიქიას. ეს არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მხარე“, — განაცხადა აშშ-ის ელჩმა.

სტიქიის ზონაში სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი მუშაობს

ბორჯომში, სტიქიის ზონაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ჩავიდა. ის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას პირადად გაეცნო.

ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ამ ეტაპზე მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობა არ არის, თუმცა არებობს სამოქმედო გეგმა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს სრული პრევენცია და მოსახლეობის გაყვანა.

სოფელ დაბაში მობილიზებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და რეანიმობილის ეკიპაჟები. ამ დრომდე მედპერსონალის დახმარების საჭიროება არ დამდგარა.

* * *

ბორჯომის ხეობაში ხანძრის ჩაქრობაში დახმარების თხოვნით საქართველომ მეზობელ და ევროკავშირის ქვეყნებს მიმართა.

როგორც მინისტრმა საზოგადაოებრივ მაუწყებელს განუცხადა, სტიქიის მასშტაბები გაიზარდა და ექსპერტების რეკომენდაციაა, რომ სტიქიასთან საბრძოლველად დამატებითი ტექნიკის მობილიზება მოხდეს.

საქართველოს დასახმარებლად ეკიპაჟები სომხეთმაც გამოგზავნა

ბორჯომის ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში სომხეთიც ერთვება. როგორც ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა, სომხეთიდან რიგი ეკიპაჟები უკვე გზაშია.

„ჩვენ მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი პირველი დახმარება აზერბაიჯანისგან. დღის ბოლოს ჩამოფრინდება უკვე ძალიან მოცულობითი, დიდი სახანძრო თვითმფრინავი თურქეთიდან - თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ მათ თვითონ აქვთ ეს პრობლემა. მე მინდა ასევე ვთქვა, რომ სომხეთმა მიიღო გადაწყვეტილება და მთელი რიგი ეკიპაჟები გზაშია და ჩამოდიან“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ღია წერილი უმრავლესობის ლიდერს არჩილ თალაკვაძეს!

„ბატონო არჩილ,

2017 წლის 18 აგვისტოს, საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა შორის გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციურ პარტიათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მკაფიოდ გამოვხატეთ ერთიანი პოზიცია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

კონსესუსის მიღწევისათვის დიალოგის დასაწყებად აუცილებელია „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დაუბრუნდეს საკონსტიტუციო რეფორმის დაწყებისას მისსავე მიერ შემოთავაზებულ მოცემულობას, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდება სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით, მანდატების სამართლიანი გადანწილების პრინციპით. ამასთან, ოპოზიციისთვის არსებითია პრეზიდენტის საყოველთაო, პირდაპირი არჩევის წესის შენარჩუნება. თუმცა, აღნიშნული საკითხის განსაზღვრა შესაძლებლად მიგვაჩნია პლებისციტის მეშვეობით.

„ქართული ოცნების“ მიერ აღნიშნული ჩვენი პოზიციის გაზიარების შემთხვევაში, მზად ვართ, შევიდეთ დიალოგში საკონსტიტუციო რეფორმის სხვა საკითხებთან დაკავშრებით.

მიუხედავად ჩვენს მიერ გამოხატული ზემოხსენებული, სრულიად ლოგიკური და მკაფიო პოზიციისა, თქვენ ცდილობთ, გვერდი აუაროთ მას და თქვენთვის სასურველ ფორმატში წარმართოთ ოპოზიციურ პარტიებთან კომუნიკაცია, რათა შეძლოთ ან ოპოზიციასთან კონსესუსის მიღწევის იმიტირება, ან ისეთი ყალბი სურათის შექმნა, თითქოს ოპოზიციური ძალები უარს ვამბობდეთ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით კონსესუსის მისაღწევად დიალოგზე, რითაც შეეცდებით „ქართული ოცნების“ მიერ კონსტიტუციის თვითნებურად და ერთპიროვნულად მიღების გამართლებას.

წინამდებარე წერილზე ხელმომწერი საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მივმართავთ ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების საკითხს და გაითვალისწინოს, რომ რამდენიმე, მცირე პოლიტიკური წონის მქონე პარტიასთან, მაჟორიტარულ-პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში საარჩევნო ბარიერის თუ ბლოკების საკითხზე მოსალოდნელი შეთანხმების მიღწევა ვერ დააკმაყოფილებს კონსტიტუციური ცვლილებებისათვის საჭირო კონსესუსის მინიმალურ სტანდარტს და სრული პასუხისმგებლობა კონსტიტუციის ასე ერთპიროვნულად მიღების მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზე „ქართულ ოცნებას“ დაეკისრება“, — წერია წერილში.

წერილს ხელს აწერენ:

ახალი საქართველო; ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; თავისუფალი დემოკრატები; მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის; რესპუბლიკური პარტია; სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის; საქართველოს დემოკრატიული პარტია; საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია; საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ხელმძღვანელი კესტუტის იანკაუსკასი მიიღო, რომელმაც საქართველოში მისია დაასრულა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა კესტუტის იანკაუსკასს საქართველოში EUMM-ის მისიის ხელმძღვანელის რანგში შესრულებული სამუშაოსათვის, და საქართველოს წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლისა და ეფექტიანობის გაზრდის, ასევე საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში შეტანილი წვლილისათვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

თვითმმართველობის არჩევნები 21 ოქტომბერს გაიმართება

განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გააკეთა.

მან აღნიშნა, რომ შესაბამისი დოკუმენტი კონტრასიგნაციისთვის პრემიერ-მინისტრს უკვე გადაუგზავნა. არჩევნების თარიღის დადასტურებას პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციაც სჭირდება. ოფიციალური აქტი არჩევნების დანიშვნის შესახებ არჩევნებამდე 60 დღით ადრე, ანუ აგვისტოს ბოლოს გამოიცემა, რის შემდეგაც საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება.

პარალელურად, ცესკო ახსენებს არჩევნებში მონაწილე პარტიებს, რათა მათ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, ანუ არჩევნების დღის დანიშვნის შემდეგ მომდევნო 3 დღის განმავლობაში შესაბამისი განაცხადით ცესკოს თავმჯდომარეს მიმართონ.

პრეზიდენტის გადაწყვეტილებას პრემიერი დაეთანხმა

პრეზიდენტის გადაწყვეტილებას თვითმმართველობის არჩევნების თარიღთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკვე დაეთანხმა. ბრძანება კონტრასიგნირებულია.

გუშინ საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტმა თვითმმართველობის არჩევნები 21 ოქტომბერს დანიშნა.

„ნულოვანი“ პრეზიდენტი ისევ უტიფარ განცხადებას აკეთებს!

პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსულტაციებს მიესალმება და მიმდინარე პროცესს ყურადღებით აკვირდება. ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კონსტიტუცია კონსესუსის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული.

„პროექტის სახით მაგიდაზე ნულოვანი კონსესუსის დოკუმენტი გვედო, რომელსაც ერთი პარტია აწერდა ხელს, მიუხედავად ამისა, პარლამენტმა რეკორდული სისწრაფით მიიღო პროექტი, რითაც პოლიტიკური პროცესი ჩიხში შეიყვანა. დღეს, როცა გაჩნდა გააზრება, რომ კონსტიტუცია ხელის გადაგრეხვით და პულტების მეშვეობით მისაღები დოკუმენტი არაა და კონსესუსზე უნდა იყოს დამყარებული, მივესალმები ამ კონსულტაციებს. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ არ შეიცვლება სულისკვეთება და თუ სულისკვეთება იქნება ასე, რომ ჩვენ გვაქვს პულტები და ყველაზე ჭკვიანები ვართ, ჩვენ ვერ მივიღებთ მოქმედ კონსტიტუციას,“ — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

არჩევნებში აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუმცა დღეს მთავარი ბორჯომის სტიქიაა

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, მმართველი გუნდისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი სრულიად მისაღებია, თუმცა დღეს მთავარი ის მძიმე სტიქიაა, რომელთან ბრძოლაც შესაბამის სამსახურებს ბორჯომში უწევთ.

როგორც მან პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ განაცხადა, შესაბამისი სამსახურები ხანძრის ჩასაქრობად ყველაფერს აკეთებენ.

„დღეს მთავარია ის მძიმე სტიქია, რომელთანაც ბორჯომში გვიწევს ბრძოლა. მთავარია, რომ ჩვენი მეხანძრეები და მთავრობის წევრები ამ გამოწვევას გაუმკლავდნენ, რომლებიც ამისთვის ყველაფერს აკეთებენ“, — აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

„ჩვენ საარჩევნო კამპანისთვის მომზადებული ვართ და თარიღიც მისაღებია. უკვე დღეიდან, მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოცხადდა თარიღი, მთელი რიგი რეგულაციები და საკანონმდებლო შეზღუდვები ამოქმედდა, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსის, სარეკლამო და საეთერო დროის გამოყენებას უკავშირდება. ეს შეზღუდვები არსებობს, როგორც ჩვენთვის, ასევე მედიისთვის. ჩვენ ყველა ამ წესის დაცვით ჩავატარებთ საარჩევნო კამპანიას და აუცილებლად გავიმარჯვებთ. ამ გამარჯვებაში დარწმუნებული და თავდაჯერებული ვართ“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

აჭარის მთავრობა სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის დღევანდელი რეკომენდაციით, აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წლის 18, 19 და 23 აპრილს, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული 3 კორპუსის აღსადგენად 58 964 ლარი გამოიყოფა.

ასევე, 5000-5000 ლარით ფინანსური დახმარება გაეწევა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, ხანძრის შედეგად დაზარალებულ 2 ოჯახს. დაზარალებულებს 5 000-5 000 ლარით უკვე დაეხმარა ქ. ბათუმის მერია. კომისიის წევრებმა დღევანდელ სხდომაზე, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ვაშლოვანში არსებულ სოციალურ სახლში, 14 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხიც განიხილეს და დადებითად გადაწყვიტეს. 2017 წელს, შერეული სამთავრობო კომისიის რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიის შედეგად დაზარალებულ 178 ოჯახს დახმარების მიზნით გამოიყო 2,814,564 ლარი. 139 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი.

ესტონელი ჟურნალისტები საქართველოს შესახებ გადაცემას ამზადებენ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით საქართველოს ესტონეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ტელეკომპანიის ETV V ERR პოპულარული სამოგზაურო პროგრამა „Travel With Me“-ის გადამღები ჯგუფი ეწვია.

ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ გადაცემას ამზადებენ. ვრცელი სატელევიზიო სიუჟეტები საქართველოს შესახებ ესტონეთის ტელევიზიით 6 და 13 ოქტომბერს გადაიცემა.

პრესტურის ფარგლებში გადამღები ჯგუფის წევრებმა მოინახულეს: თბილისი, მცხეთა, ანანური, სტეფანწმინდა, სიღნაღი, ყვარელი და ნაფარეული. ესტონელი ჟურნალისტები გაეცნენ ქართულ კულტურას, კულინარიას და ღვინის დამზადების წესებს.

უილიამ კორტნი: რუსეთი შესაძლოა, აფხაზეთის ანექსიას შეეცადოს, ისე როგორც ეს ყირიმში მოხდა!!!

რუსეთ-საქართველოს ომის მეცხრე წლისთავზე, დასავლეთის რეაქციებზე, საქართველოს ევროპულ კურსზე და ურთიერთობებზე რუსეთთან „ამერიკის ხმა“ აშშ-ის ყოფილ ელჩს საქართველოში **უილიამ კორტნის** ესაუბრა:

— რა გავლენა მოახდინა რუსეთ-საქართველოს ომმა ევროპული უსფრთხოების არქიტექტურაზე, ჰქონდა თუ არა ამ მოვლენას რაიმე გავლენა ევროპაში მომდევნო მოვლენებზე ან რუსეთის აგრესიის შეკავებაზე უკრაინაში?

— დასავლეთის სუსტმა რეაქციამ საქართველოში რუსეთის შეჭრაზე, კრემლს აფიქრებინა, რომ 2014 წელს უკრაინაში აგრესია ადვილად გაუვიდოდა. ეს ასეც მოხდა ყირიმის შემთხვევაში, რასაც სისხლისღვრა არ მოჰყოლია, მაგრამ განსხვავებული იყო აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულ ომზე გამოხმაურება, რასაც სამხედრო დაუმორჩილებლობა მოჰყვა, და დიდი მსხვერპლი მოიტანა შედეგად. რუსეთის აგრესიამ საქართველოსა და უკრაინაში დაასამარა იმის პერსპექტივა, რომ რუსეთი ოდესმე შეძლებს დასავლეთის დარწმუნებას ფართო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის განახლებაში. დასავლეთს მიაჩნია, რომ გაეროს ქარტია, 1990 წლის პარიზის ქარტია და ეუთო უზრუნველყოფს ზუსტ პრინციპებს ევროპის უსაფრთხოებისთვის. ეს პრინციპები არ გულისხმობს მეზობლებზე ძალის გამოყენების უფლებას საკუთარი „პრივილეგირებული ინტერესების“ დასაკმაყოფილებლად.

— როგორ გააძლიერა ამ კონფლიქტმა საქართველოს პოზიციები, რათა მას უკეთ დაეცვა საკუთარი თავი საერთაშორისო ასპარეზზე?

— 2008 წლის შემდეგ, საქართველომ, რუსული აგრესიის მსხვერპლის რანგში გაზრდილი საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვა. რადგან საქართველომ ცხინვალი დაბომბა ომის დასაწყისში, ამან ეს მონაპოვარი, ცოტა არ იყოს, უფრო დაჩრდილა. უკანასკნელ წლებში, საერთაშორისო თანამეგობრობამ დადებითად აღიქვა საჯარო განცხადებები რუსეთთან მიმართებით და განსაკუთრებით საქართველოს მიერ რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ძიების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლება ხშირად რუსეთის პროვოცირებას ახდენდა დაუბალანსებელი საჯარო განცხადებებით.

— რა მომავალი აქვს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს, თქვენი აზრით?

— ამის პროგნოზირება რთულია. ბევრია დამოკიდებული რუსეთში პოლიტიკური მდგომარეობის განვითარებაზე და იმაზე, თუ რამდენად შეეცდებიან რუსეთის ლიდერები ადგილობრივი პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზებას ნაციონალისტური სენტიმენტებით, ან მეზობლების დაშინებითა თუ კრიტიკით.

— როგორ შეაფასებდით რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ვიზიტს აფხაზეთში 8 აგვისტოს?

— პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ვიზიტი ხაზს უსვამს მოსკოვის გადაწყვეტილებას აფხაზეთზე კონტროლი შეინარჩუნოს, მიუხედავად რუსეთის დაღმავალი საერთაშორისო რეიტინგისა. კრემლი შეიძლება იმედგაცრუებული იყოს იმის გამო, რომ დამოუკიდებლად მოაზროვნე აფხაზები თავიანთი ქვეყნისთვის დამოუკიდებელი იდენტობის შენარჩუნებას ესწრაფვიან. ამ შემთხვევაში, რუსეთი შესაძლოა, შეეცადოს აფხაზეთის ანექსიას, ისე როგორც ეს ყირიმში მოხდა.

— როგორია თქვენი ხედვა საქართველოს წევრობაზე ნატოსა და ევროკავშირში, ანუ სხვა სიტყვებით, როგორ შეაფასებთ საქართველოს ინტეგრაციის ძალისხმევას ამ ინსტიტუტებში?

— საქართველოს სჭირდება ეკონომიკური და მმართველობის რეფორმების გატარება იქამდე, ვიდრე ის ნატოს და ევროკავშირის წევრობის სტანდარტებს დააკმაყოფილებს. მნიშვნელოვანი იქნება კანონის უზენაესობის გაუმჯობესება. 2016 წლის მონაცემებით, მსოფლიო სამართლებრივ ანგარიშში (World Justice Project) საქართველო 34-ე ადგილზე იყო 113 ქვეყნიდან. ასეთი მაჩვენებელი ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის მონაცემზე უკეთესია (ხორვატია, იტალია, უნგრეთი), თუმცა უკეთესი შედეგი ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა ქვეყნისთვის. ასევე, უკეთესი იქნებოდა კორუფციის შემცირებაც. 2016 წლის კორუფციის აღქმის ინდექსით, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აქვეყნებს — საქართველო 44-ე ადგილზეა 176 ქვეყანას შორის.

— და ბოლოს, როგორ დაახასიათებდით აშშ-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობებს და რა დახმარება შეუძლია ვაშინგტონს იმისთვის, რომ საქართველოში რუსული აგრესია აღიკვეთოს?

— აშშ-საქართველოს ურთიერთობები ძალიან კარგია. ასევე, შესანიშნავად მუშაობს აშშ-ის ელჩი საქართველოში, იან კელი. შინ, რეფორმების გააქტიურებით და პრაგმატული თანამშრომლობის გაგრძელებით რუსეთთან-მაგალითად ეკონომიკისა და ტურიზმის დარგებში, საქართველოს შეუძლია საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდირება. დასავლეთისთვის კი, საუკეთესო გზა საქართველოში რუსეთის შემდგომი აგრესიის აღსაკვეთად მდგომარეობს ერთიანი, ძლიერი ოპოზიციური ფრონტის შენარჩუნებაში რუსეთის მოქმედებების წინააღმდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში.

ბათუმის შემოვლით გზას სახელმწიფო ხალხისთვის აკეთებს!

დიდი სახელმწიფო პროექტების გამო კერძო საკუთრების ჩამორთმევის პრაქტიკას ხელისუფლება უკვე საკმაოდ აქტიურად იყენებს. გასულ თვეებში ცნობილი გახდა, რომ მესაკუთრეებმა საკუთარი ქონება დაკარგეს ანაკლიის პორტის მშენებლობის ტერიტორიაზე იმის გამო, რომ გაყიდვასა და ფასზე მორიგება ვერ მოხერხდა.

ახლა მსგავსი ფაქტები უკვე ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო გახდა ცნობილი, რაც საკმაოდ მძიმე შეტყობინებას უგზავნის ადამიანებს და ბიზნესმენებსაც, რადგან კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა უმნიშვნელოვანესი საკითხია და მისი ხელყოფა მხოლოდ მართლაც გამოუვალ და უკიდურეს შემთხვევებში უნდა ხდებოდეს.

ვერ გეტყვით, რამდენად გამოუვალი იყო ვითარება, თუმცა ფაქტია, რომ ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო მიმდებარე ტერიტორიაზე 18 მოქალაქისა და 4 კომპანიის ქონება ექსპროპრიაციას (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) დაექვემდებარება.

დაზარალებულებს შორის არიან, მაგალითად: შპს „ლუგოს“, სს „ავტომობილისტი 96-ის“, შპს „ჩემპიონი-2-ის“, შპს „კვადრის“, ნიაზ ჭანიძის, ბიძინა ბეჟანიძის, გოჩა ჯაფარიძის, ლეილა გოგიაშვილის, ჯამბულ ჩიკვაიძის, ვახტანგ ართმელაძის, ლია ართმელაძის, მარგო ბერიძის, ნინო ართმელაძის, ტარიელ ართმელაძის, ავთანდილ მახარაძის, ემზარ ბაკურიძის, ლელა ახვლედიანის, რამაზ ახვლედიანის, არჩილ ბერიძის, სერგო იონახის, შადიე ჩიჯავაძისა და ლეილა გოგვაძის ქონება.

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ჯავახაძის 11 აგვისტოს ბრძანებაშია აღნიშნული, ექსპროპრიაციას, ჯამში, დაახლოებით, 36 229 კვადრატული მეტრის ფართობი ექვემდებარება. ბრძანების მიხედვით, მესაკუთრეებმა უძრავი ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე უარი განაცხადეს, რისი მიზეზიც ქონების გამოსასყიდ ღირებულებაზე შეუთანხმებლობა იყო.

ამასთან, როგორც ბრძანებაში ვკითხულობთ, მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ გამოსყიდვაზე მათი უარის შემთხვევაში სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ მათი საკუთრების ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს მიმართავდა.

როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, მესაკუთრეები ექსპროპრიაციის შემთხვევაში საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ კონსტიტუციით გარანტირებულ წინასწარ სრულ და სამართლიან ანაზღაურებას მიიღებდნენ.

ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი მახინჯაურიდან მდინარე ჭოროხამდე მონაკვეთს ითვალისწინებს. გზის მთლიანი მონაკვეთი 14.3 კმ, ხოლო სიგანე 14.0 მეტრს შეადგენს. ბათუმის შემოვლითი გზა აღმოსავლეთიდან უვლის ბათუმს და მთელ სიგრძეზე გადის ხელვაჩაურის რაიონში. პროექტის ფარგლებში იგეგმება გვირაბის, ხიდებისა და სატრანსპორტო კვანძების მოწყობა.

ნინო ევგენიძე

რუსული ენის ცოდნაც საჭიროა...

თბილისის 166-ე საჯარო სკოლის ექვსი მოსწავლე რუსული ენის გასაუმჯობესებლად ყირიმში, „არტეკის“ საერთაშორისო საბავშვო ცენტრში გაემგზავრა, — ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „სპუტნიკი“ ავრცელებს. ერთ-ერთი მოსწავლის განცხადებით, საჭიროა რუსული ენის კარგად ცოდნა.

„რაც უფრო მეტი ენა გეცოდინება, მით უკეთესია. მე რუსეთში დავიბადე, ექვსი წლის ასაკში საქართველოში ჩამოვედი და დავიწყებული მაქვს რუსული, მაგრამ სკოლაში რუსული ენის გაკვეთილებზე დავიწყე ენის გახსენება“, — განაცხადა გიორგი ჩიქოვანმა. სააგენტოს ინფორმაციით, სკოლის მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის პირველი საერთაშორისო გაცვლა რუსულ ენაში „არტეკში“ 7 აგვისტოდან 27 აგვისტომდე ტარდება. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორია რუსული ენის საბჭო, რომელიც რუსეთის მთავრობის ფარგლებში ფუნქციონირებს.

* * *

ქართველი მოსწავლეების ოკუპირებულ ყირიმში გამგზავრებასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. უწყების ცნობით, სამინისტრო კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, შეისწავლის, იყო თუ არა ეს მასწავლებლის ინდივიდუალური გადაწყვეტილება თუ მიზანმიმართული ქმედება:

„სამწუხაროა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ ან ერთმა კონკრეტულმა მასწავლებელმა გაუთვითცნობიერებელი გადაწყვეტილება მიიღო, რის გამოც სკოლის მოსწავლეები რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმში მოხვდნენ. ჩვენი ხელისუფლების პოზიცია ურყევია და ვგმობთ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ ჩვენს ურყევ პოზიციას უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. მოვუწოდებთ ყველა სკოლის ადმინიატრაციას და მასწავლებელს, მომავალში მიიღონ მეტი ინფორმაცია და გააკეთონ გაცნობიერებული არჩევანი“.

დაისჯება ყველა, ვისი პასუხისმგებლობაც გამოიკვეთება, — ასე გამოეხმაურა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა თბილისის 146-ე საჯარო სკოლის 6 მოსწავლის ანექსირებულ ყირიმში გამგზავრებას.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი გადაწყვეტილება სკოლის, მასწავლებლების, ადმინისტრაციის და ოჯახების მხრიდან.

აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ გრძელდება ქართველი ერის გენოციდი!

რას აკეთებს ქართული დიპლომატია?

ის, რაც ამჟამად ხდება ოდესღაც საქართველოს „ავტონომიებში“, ხოლო დღეს რუსეთის ოკუპირებულ და მის მიერვე აღიარებულ ე.წ. „დამოუკიდებელ სახელმწიფოებში“, არის კლასიკური მაგალითი იმისა, რომ ვითომდაც „სამართლიანობისთვის“ და „ჩაგვრის წინააღმდეგ“ მებრძოლი სეპარატისტული მოძრაობები, როგორც კი ძალას იკრებენ და საწადელს აღწევენ, თავად ხდებიან მჩაგვრელები და გენოციდის ავტორები.

გასულ კვირას „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე ქართულ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის შეწყვეტისა და რუსულით ჩანაცვლების შესახებ. შესაბამისად, იკრძალება ქართული სახელმძღვანელოები და სწავლა გრძელდება მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოებით.

სად არის ქართული სკოლები „სამხრეთ ოსეთში“? მხოლოდ ახალგორის (ლენინგორის) რაიონში, რადგან ლიახვის ხეობის სოფლები ოსმა სეპარატისტებმა 2008 წელს პირწმინდად გადაწვეს, აღგავეს პირისაგან მიწისა და ედუარდ კოკოითის ბრძანებით „ზედ მარილიც დააყარეს“.

* * *

ცხინვალის ხელისუფლება დემაგოგიურად აცხადებს, რომ ახალგორის რაიონში ამ „რეფორმის“ მიზანი თურმე ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვაა, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, ისწავლონ ცხინვალის უნივერსიტეტში ან მოსკოვის უნივერსიტეტებში.

თუმცა, ბევრად მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი სეპარატისტთა სხვა არგუმენტია: ევროპაში მიღებული დაწერილი (ნაწილობრივ) თუ დაუწერელი კანონით, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ ჰუმანიტარული უფლება, მოითხოვონ სახელმწიფოსგან, სადაც ცხოვრობენ, იმ ენის სწავლება სკოლაში, რომელიც მათთვის „პირველი ენა“, ანუ დედაენაა. ამ ტრადიციის შესაბამისად (ვიმეორებ, იგი ნაწილობრივ კოდიფიცირებულია ეუთო-ს დოკუმენტებით), ევროპაში უცხო ქვეყნის მოქალაქე ვერ მოითხოვს სახელმწიფო (!) სკოლაში ყველა საგნის სწავლებას დედაენაზე, არამედ შეუძლია მხოლოდ იმ ენის ცალკე საგნად სწავლა მოითხოვოს, რომელიც დედაენად მიაჩნია.

ცხინვალის რეჟიმიც აცხადებს: „ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, რადგან საქართველოსგან დამოუკიდებლად ვაკონტროლებთ ქვეყნის მთელ ტერიტორიას; გვცნო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრმა რუსეთის ფედერაციამ; ვიჩენთ კეთილ ნებას და მზად ვართ ქართველებს, ანუ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში (?!) ცხოვრობენ, ვასწავლოთ ქართული ენა როგორც ცალკე საგანი, მაგრამ ყველა საგანი ქართულად... ნურას უკაცრავად, ამას „ევროპული ტრადიცია, პრაქტიკა და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს“

რა თქმა უნდა, პირწმინდა დემაგოგიაა, მაგრამ ისეთი დემაგოგიაა, რომელიც „სათქმელს“ უტოვებთ და ზოგჯერ „ჭრის“ კიდეც ე.წ. „ჟენევის მოლაპარაკებებზე“.

ზუსტად იგივე ხდებოდა და ხდება აფხაზეთის გალის რაიონში, ანუ ქართული სკოლები, სადაც ყველა საგანი (გეოგრაფია, მათემატიკა. ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია და ა.შ) ისწავლებოდა ქართულ ენაზე, დახურეს, ქართული დატოვეს ცალკე საგნად და დემაგოგიურად აცხადებენ: „ქართულ ენას ხომ ვასწავლით ცალკე საგნად, ესე იგი ქართული სკოლები არ დაგვიხურავსო“

არადა, რომც მივიღოთ ის სულელური არგუმენტი, თითქოს ეს ტერიტორიები „დამოუკიდებელი ქვეყნები“ არიან და ამით (თურმე) „ევროპულ სტანდარტს“ ამკვიდრებენ, იმავე ევროპული სტანდარტით, არ შეიძლება ადამიანს, ან ეთნიკურ ჯგუფს წაართვა ის სიკეთე, რაც მას რეალურად (უკვე) აქვს, ანუ, მაგალითად, როდესაც საქართველო (მართლა) დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ევროკავშირის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებდნენ: „კი, ვიცით, რომ ფორმალურად „ევროპული სტანდარტი“ იქნება, თუ ყველა სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან საჯარო ხელმწიფო (კერძო რამდენიც უნდათ იყოს) სკოლებს დახურავთ და სომხურს, აზერბაიჯანულს, რუსულს მხოლოდ „ცალკე დისციპლინად“ დატოვებთ, მაგრამ ჩვენივე ევროპული სტანდარტით, რაკი ეროვნულ უმცირესობებს ასეთი სიკეთე აქვთ (უკვე), მის წართმევას ადამიანის უფლებათა დარღვევად ჩავთვლითო“.



* * *

ცხინვალისა და სოხუმის რეჟიმებს ევროპელებმა იგივე რომც უთხრან, იმათ სულ არ ანაღვლებთ. მათთვის მთავარია, „სათქმელი“ და „სადისკუსიო არგუმენტი“ ჰქონდეთ ჟენევაში.

თუმცა, ეს მაინც სხვა საკითხია. მთავარი კი ისაა, რომ საერთაშორისო სამართლით, სტანდარტით, მიღებული ნორმებით და მიდგომებით, ის, რასაც სეპარატისტები ორივე რეგიონში ახლა სჩადიან, არის გენოციდი!

„გენოციდი“ არა მხოლოდ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ფიზიკური განადგურებაა. ხსენებული საერთაშორისო სტანდარტით და მიდგომებით, გენოციდია აგრეთვე, როდესაც ხდება ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის იძულება, შეიცვალოს იდენტობა! იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ „იძულების“ მეთოდები და ხერხები არის „ვუალირებული“ — შენიღბული, დროში გაწელილი და ა.შ.

ფაქტია, რომ ქართული ეროვნების ადამიანებს ართმევენ საშუალებას, ისწავლონ დედაენაზე, უხურავენ არსებულ სკოლებს და ფაქტობრივად აიძულებენ ან დატოვონ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“, ან შეიცვალონ იდენტობა. მათ შორის, შეიცვალონ გვარები (სამურზაყანოში), მიიღონ აფხაზური გვარი, მაშასადამე, აფხაზური ეთნოიდენტობა და ა.შ.

ეს არის გენოციდი! მით უმეტეს, როდესაც ხორციელდება იარაღით დანიშნული ადმინისტრაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

* * *

რას აკეთებს ამ დროს ქართული დიპლომატია ან ზოგადად ქართული ისტებლიშმენტი, მათ შორის ქართული მედია? რა მესიჯებს უგზავნის იგი მსოფლიო თანამეგობრობას და რამდენად შედეგიანია ეს მესიჯები შედეგის, ანუ გენოციდის მიმართ თუნდაც ადეკვატური საერთაშორისო რეაქციის მიღწევის თვალსაზრისით?

ძირითადი ნარატივი ასეთია: „რუსმა ოკუპანტებმა დახურეს ქართული სკოლა.....რუსმა ოკუპანტებმა აკრძალეს ქართულ ენაზე სწავლა... ან კიდევ ... რუსმა ოკუპანტებმა წალენჯიხის რაიონის მოსახლეობას წაართვეს თხილის მოსავალი... რუსმა ოკუპანტებმა დაიწყეს გალის რაიონის ქართველთა იძულება, შეიცვალონ ეროვნება... და ა.შ.

ეს არის აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული მიდგომა და აი, რატომ: როდესაც ჩვენ იმავე ევროპელს თუ ამერიკელს ვეუბნებით, რომ ამას ყოველივეს სჩადის „რუსეთი“, ის მხრებს იჩეჩს და დემაგოგიურად გვეუბნება (რაკი ისედაც არ ეპიტნავება საქართველოს გამო მოსკოვთან დაპირისპირება და უკრაინის გამო „ატკივებული თავის“ კიდევ უფრო ატკივება): „მაშასადამე, თქვენ ამტკიცებთ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ბრძანა გალში და ახალგორში ქართული სკოლების დახურვა? მერედა, სად არის ამის მტკიცებულება?“

ჩვენი პასუხი: — „ბუნებრივია, მედვედევის მთავრობას ან პუტინის ადმინისტრაციას ასეთი ბრძანებულება არ გამოუცია, მაგრამ... ამას აკეთებენ მათ მიერ „ხელდასხმული“ საოკუპაციო მარიონეტული რეჟიმები...“

— რომელი საოკუპაციო მარიონეტული რეჟიმები?

— როგორ თუ „რომელი“ — სოხუმის ხაჯიმბას რეჟიმი და ცხინვალის ბიბილოვის რეჟიმი. ესენი ხომ დანაშაულებრივი, პირსისხლიანი, „საოკუპაციო რეჟიმები“ არიან და არა რაღაც „ცალკე სუბიექტები“.....

— უკაცრავად, თუკი ისინი „ცალკე სუბიექტები“ არ არიან, მაშინ თქვენ რატომ აწარმოებთ მათთან მოლაპარაკებებს სწორედაც როგორც „ცალკე სუბიექტებთან?“ მაგალითად, ჟენევაში, სადაც საქართველოს, „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის წარმომადგენლებს თანაბარი სტატუსი აქვთ?

* * *

გზა აბსოლუტურად „ჩიხურია“! ამ გზით ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ, რადგან როცა ქართველი ჟურნალისტი ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენელს ეკითხება: „რას იტყვით იმაზე, რომ რუსეთმა ქართული სკოლები აკრძალაო“, ის მხრებს იჩეჩს და „ნაზი ხმით“ ამბობს, რომ, როგორც გაირკვა, ეს გაკეთა არა რუსეთმა, არამედ „აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ მთავრობამ“.

საქმე იმგვარ აბსურდამდეც კი მივიდა, რომ როცა საქართველოსგან „შემოღობილ ტერიტორიაზე“ სეპარატისტებმა თხილის და ვაშლის მოსავალი აიღეს, ქართული მედია ასეთი ტექსტით აღწერდა მომხდარს: „რუსმა ოკუპანტებმა აიღეს ქართული მოსახლეობის მოსავალი“!..

რეალურად, ბევრად უფრო ზუსტი, დასავლელი მოკავშირეებისთვის გასაგები და მიზანშეწონილი ნარატივი იქნებოდა შემდეგი: „სეპარატისტული შეიარაღებული მოძრაობების შედეგად, რომელთაც აგულიანებდა, აიარაღებდა და ყოველმხრივ „უზრუნველყოფდა“ რუსეთის ფედერაცია, ცხინვალსა და სოხუმში ჩამოყალიბდნენ პირსისხლიანი რეჟიმები, რომლებიც უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს, ახორციელებენ ქართული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლის და ეთნოწმენდის მრავალწლიან კამპანიას, ანუ გენოციდს და ამ დანაშაულებრივ რეჟიმებს მხარს უჭერს რუსეთის ფედერაცია!“.

ეს ფორმულა და გენოციდის განმახორციელებელი სუბიექტის ზუსტი განსაზღვრა მოუსპობდა არგუმენტს იმ ძალებს დასავლეთში, ვისაც ზემოხსენებული მოტივით ერთი სული აქვს როგორმე „მხრები აიჩეჩონ“ და გვითხრან — მოსკოვი რა შუაშია, ის არ იღებს ამ გადაწყვეტილებებსო.

ამიტომ, ფორმულა „დანაშაულებრივი ნაცისტური რეჟიმები, რომლებსაც მხარს უჭერს მოსკოვი“ — ბევრად სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ... ამ ფორმულის განსახორციელებლად აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა, რისი უნარი და შნო არც დღევანდელ, არც წინა და არც იმის წინა ხელისუფლებებს არ ჰქონიათ და არა აქვთ: **უნდა შეწყდეს ამ ნაცისტური რეჟიმების „გაპრავება“ და მათი საერთაშორისოდ აღიარებულ სუბიექტებად ქცევა ე.წ. „ჟენევისა“ და სხვა ამგვარი მოლაპარაკებების ფორმატებში, სადაც გენოციდის განმახორციელებელ, სისხლიან რეჟიმებსა და საქართველოს წარმომადგენლებს თანაბარი სტატუსი აქვთ!**

„მზად ვართ ველაპარაკოთ ოკუპანტ რუსეთს, მაგრამ არ ველაპარაკებით მათ მიერ მხარდაჭერილ დანაშაულებრივ, მარიონეტულ რეჟიმებს, რომლებიც ახორციელებენ გენოციდს!“ — მხოლოდ ამ გზით შეძლება თავიდან ავიცილოთ ის საშინელი დღე, როდესაც, ერთხელაც იქნება, ხსენებული „ამატკივარი“ წინააღმდეგობებით თავმობეზრებული გერმანელი, ამერკელი თუ ფრანგი „შუამავალი“ გვეტყვის: „თქვენმა პატივცემულმა კოლეგებმა სოხუმში ასეთი გადაწყვეტილებები მიიღეს ქართულ სკოლებთან დაკავშირებით და... ქართული ენა ხომ მაინც დატოვეს ცალკე საგნად... ეს კი მთლად ევროპული არა, თუმცა... ევროპულთან მიახლოებული მიდგომაა...“

ნიკა იმნაიშვილი

გამოვლინდა საგადასახადო სამართალდარღვევის 970 ფაქტი

14-20 აგვისტოს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 970 ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 2659 გადამხდელი, რის შედეგადაც

აღირიცხა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 80 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 71 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 819 ფაქტი.

ეშმაკის ქვა და მოურჩენელი ტკივილი

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის – „ეკლის გვირგვინის“ გამო

ამ დღეებში ელგუჯა მარღიამ ინტერნეტით მომაწოდა ვიდეო, რომელზეც აღბეჭდილია ჯონსონ კვარაცხელიას ქალიშვილის მოგონებები.

მძიმე მოსასმენია თვითმხილველი ქალბატონის საუბარი სამშობლოში დაბრუნებულ ზვიად გამსახურდიაზე, ვისაც აუტანელი ტკივილები ტანჯავდა. იქ კი, მრავალგზის ანიოკებულ სამეგრელოში, გაჭირვებულ მოსახლეობას იმის საშუალება არ ჰქონდა, საქართველოს პირველი პრეზიდენტისთვის უბრალო, მაგრამ დიეტური საკვები რომ მიეწოდებინა.

ზვიად გამსახურდია ჭირვეულობას ხომ არ დაიწყებდა, ის ამას არ იკადრებდა, ამიტომ იმით კმაყოფილდებოდა, რასაც მასპინძლები შეიძლებდნენო, – დასძენს მოგონებების ავტორი.

ამ ვიდეომ გამახსენა მრავალი წლის წინანდელი ეპიზოდი, ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ცნობილ პოეტს რომ მიმართა, – თქვენ რომ სალონებსა და რესტორნებში დროს ატარებდით, მე გადასახლებაში ზვიადთან ტანჯვა-წვალებით დავდიოდიო...

და კიდევ ერთხელ ვიგრძენი სინდისის ქენჯნის სიმწარე: ჩვენ სად ვიყავით და რას ვაკეთებდით მაშინ, საქართველოს პირველ პრეზიდენტს სამეგრელოს ტყეებში მკვლელები რომ დასდევდნენ, ხოლო სხვადასხვა ოჯახში თავშეფარებულს პურის მოთხოვნაც კი ერიდებოდა?!

უჩვენოდ ივსებოდა იმდროინდელი სალონები თუ რესტორნები?!

თანამდებობებს, პრემიებს, ჩინ-მენდლებსა და ეპოლეტებს აღარ მიელტვოდით?!

სამშობლოს ჩვენსას საკუთარი ეზო აღარ გვიჯობდა?!

კავკასიის ერთიანობის იდეის გამცოცხლებელი სამშობლოდან რომ გავნდევნეთ, აქ თვითონ კავკასიური სახლებისა და ინსტიტუტების დაარსება არ დავიწყეთ და ისინი, უწინარესად, საკუთარი კეთილდღეობის შესაქმნელად არ გამოვიყენეთ?! მეტიც, იქ გამოცემული წიგნებით ისევ ზვიად გამსახურდიას დამცირებას არ ვცდილობდით?! უსასრულოდ შეიძლება გაგრძელება, თუმცა...

* * *

მაგრამ ჩვენ დღეს როსტომის წიგნზე უნდა ვისაუბროთ.

კი, ბატონო, მაგრამ იქაც ანალოგიური კითხვა შემოგვეფეთება: **„ილია ჭავჭავაძის მკვლელები ვითომ მარტო ისინი არიან, ბუჩქებში ვინც ჩაცუცქულიყვნენ და ეტლის გამოჩენას ელოდნენ?“**

თუ გულახდილად ვიტყვი, როსტომ ჩხეიძის წიგნი ამგვარი კითხვებით უფრო მეძვირფასება და კიდევ უზუსტესი პარალელებით, მაგალითად, პატარა კახის ბედთან:

„ერეკლეს მტრობით საქართველო დავღუპეთო. ჩახედეთ ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ - დოკუმენტურ ნაწერებს, ჩვენი დრო დაგიდგებათ თვალწინ, თუ როგორ ქმნის რუსეთის იმპერია ქართველი მეფის საწინააღმდეგო დასს და მათი შემწეობით როგორ დასცემს ქვეყანას.

იესო ქრისტე ერთმა იუდამ გაყიდა და მეფე ერეკლე ათასმა იუდამო, – ამასაც იმ ნაწერებში ამოიკითხავთ.

ახლაც ათას იუდას წამოეყო თავი.“

სწორედ ამგვარ შეკითხვებს, ასეთ პარალელებს სჭირდება როსტომ ჩხეიძის სულისკვეთება, თორემ მარტოოდენ „ცივი“ ქრონიკის გადმოცემას საშუალო ნიჭის ლიტერატორიც მოახერხებდა...

და კიდევ: ზვიად გამსახურდიაზე ასეთი წიგნი რომ დაწერო, სიზმრებსაც განსხვავებულს უნდა ხედავდე, ისეთებს, თავიანთი რომ ეგონებათ, რომ შეშურდებათ და არ დაგანებებენ...

ეს სიზმრები უცნაურად გაანათებენ და გაათბობენ ქრონიკის ცივ ლაბირინთებს და დაე, შეგეცილონ – ჩვენი სიზმარი გინახავსო...

„აი, უფსკრულის ძირას ჩავჩოქილვართ ორივე. მელაპარაკება, მელაპარაკება, გულისყურით მინდა მოვუსმინო, მაგრამ საზარელ გრგვინვა - გრიალში ერთი სიტყვაც არ წვდება ყურს...

– ჩვენი სიზმარი გინახავს!

– თქვენი როგორ?!

– როგორ და ისე... ჩვენ უნდა გვენახა... ჩვენ გვეტყოდა, ჩვენ გაგვაგონებდა“...

არადა, ფაქტი ჯიუტია: წიგნი ადასტურებს, ვის უნდა ენახა, ვის უთხრა, ვის გააგონა...

სხვათა შორის, ვინც ამნაირ, ჩვენგან უხილველ სიზმრებს ხედავს, მას, ეტყობა, იმ ხმების გაგონებაც ძალუძს, ჩვენი ყურისთვის რომ მიუწვდომელია. ნახეთ, რას წერს როსტომ ჩხეიძე:

„პრეზიდენტის მტრობით საქართველო დავღუპეთო, – ეს კვნესაც ხომ გაისმის დღეს და ვინც უნებლიეთ ესროლა თუნდაც ერთი ქვა, სულს უმწარებთ სასტიკი სინამდვილის ხილვა - არ გვინდოდა, ეშმაკმა შემოგვაჩეჩა ის ქვაო“...

თქვენ გესმით ასეთი კვნესა?

მე – ნამდვილად არა!

აი, მათგან ქვების სროლას კი კვლავაც ვხედავ.

ერთი-ორი თავადაც მომხვედრია.

* * *

„ეკლის გვირგვინი“ ჰქვია რომან-დილოგიას, რომლის პირველი ნაწილი კარგად შევსებული ძველია, ხოლო მეორე – მთლიანად ახალი.

„თუ საწუთრომან დამამხოს“ – ეს ყველასათვის ნაცნობი სათაურია.

მეორე ნაწილს კი „ძველი ხიბულას საიდუმლოება“ ეწოდება.

მხოლოდ შვიდი წელი აშორებს ერთმანეთისგან დილოგიის ამ ორ თითქმის თანაბარ ნაწილს – თანაბარს მოცულობითაც და მხატვრული ღირსებებითაც. და მაინც, არის მათ შორის პრინციპული სხვაობა: დილოგია მკაფიოდ გვიჩვენებს, ამ შვიდი წლის განმავლობაში როგორ თანდათან ჩამოყალიბებულა და გამოკვეთილა როსტომ ჩხეიძის სტილური მანერა, ანუ ის, რაც თავიდან ზოგს ცოტა ხელოვნურად და თვითმიზნურად ეჩვენებოდა, დღეს კი ორგანულად და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ

თავისებურებად ქცეულა.

შვიდი წლის წინათ, ასე „ჩვეულებრივად“ წერდა: „მწერალთა კავშირიდან გარიცხული ზვიად გამსახურდია ტრიუმფით ბრუნდება ამ სასახლეში... მისი სახელი, აღდგენილი და შარავანდით მოსილი, სიმბოლურად ისევ გაიგივებულა თავისუფლებისთვის ბრძოლასთან, და ისიც ყველგან არის, ყველგან სიტყვით გამოდის“...

დღეს კი ვერც წარმოგვიდგენია, როსტომ ჩხეიძე ასე არ წერდეს: „კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი შემეხმიანებოდა ტელეფონით“...

და რატომ შეეხმიანებოდა?

საკითხავი სწორედ ეს არის!

სწორედ კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი გადასცემს იმ საპარლამენტო კომისიის 365-გვერდიან მოკვლევას, თავად რომ თავმჯდომარეობდა. გადასცემს და მისი ბელეტრისტული ვერსიის შექმნის იდეასაც მორიდებით მიაწვდის...

ჩიტი ხელის აქნევას უცდიდაო და კომისიის მიერ მოკვლეული მასალები როსტომ ჩხეიძის მეთვრამეტე ბიოგრაფიულ რომანად იქცევა.

უკვე ითქვა, რომ ეს რომან-დილოგიაა, რომლის ნაწილთა შორის სტილური განსხვავებულობის ჩემეული ვერსია უკვე გაგაცანით. კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი კი მათს თავისებურებებს ასე გამოკვეთს:

თუ საწუთრომან დამამხოს“ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, დისიდენტის, მეცნიერისა და პოეტის რომანტიკულ პორტრეტს ხატავს... როსტომ ჩხეიძე ახალ წიგნში გულისშემძვრელად მოგვითხრობს პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელი ორი თვის შესახებ, როდესაც ის ცნობიერად უახლოვდებოდა სიკვდილს. და სად უნდა მოიცალო რომანტიკისთვის, როცა სიკვდილთან პაემანს ნიშნავ“...

* * *

მე მომისმენია საყვედურები იმათი მხრიდან, ვის შესახებაც როსტომ ჩხეიძეს დიდი სიყვარულით დაუწერია, მაგრამ მწარე სიმართლეც არ დაუმალავს. აღარაფერს ვამბობ დამსახურებულად გალანძღულებზე. მაგრამ, ალბათ, როსტომ ჩხეიძის არც ერთ წიგნს არ მოჰყოლია ისეთი მძაფრი რეაქცია თვით მის დამფასებელთა მხრიდანაც კი, ამ დილოგიას რომ მოჰყვა.

ვფიქრობ, ამის მიზეზი ისაა, რაც ავტორს განსაკუთრებით ეძვირფასება: დილოგიის მეორე ნაწილის მარჯვედ მიგნებული ქარგა. სხვათა შორის, ამ მიგნებისკენაც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსმა უბიძგა. **ეს სწორედ მას უთხრეს, „დათა თუთაშხიასავით“ წიგნი გამოვიდაო, როცა „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“ გამოსცა.**

ჩიტი ამჯერადაც ხელის აქნევას უცდიდა...

და დილოგიის მეორე ნაწილში ცენტრალურ ადგილს დაიჭერს ჭაბუა ამირეჯიბი, ისევე დაპირისპირებული ზვიად გამსახურდიასთან, როგორც მუშნი ზარანდია – დათა თუთაშხიასთან. სწორედ აქ გადმოშლის როსტომ ჩხეიძე დიდი ხნით დაგუბებულ სათქმელს, რაც ჭაბუა ამირეჯიბის თაყვანისმცემლებს ძალიან არ მოეწონებათ.

არ მსურს, აქ ამ საკითხს ჩავუღრმავდე, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თავისთავად საინტერესო ქარგის ამგვარი გააზრების მიღება თვითონაც მიჭირს. ის კი არა, აქ მუშნის ვერც შევარდნაძით ჩავანაცვლებდი: პირველ შემთხვევაში, ჭაბუა არ მემეტება ზარანდიობისთვის, მეორე შემთხვევაში კი მუშნი არ მემეტება შევარდნაძეობისთვის.

ამასობაში „მთავარი გმირიც“ ვახსენე.

რატომ „მთავარი“?

დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ მოკვლეული მასალებით, თვითმკვლელობის ვერსია გამოირიცხა. ანუ დამტკიცდა ის, რაც ისედაც არავის აეჭვებდა.

ეს ყველასთვის ისევე ცხადია, როგორც მკვლელობის შემკვეთის ვინაობა.

მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა უეჭველსაც დამტკიცება სჭირდება.

ეს კი ისევე არასოდეს დამტკიცდება, როგორც კირიონ მეორის მკვლელი არ დასახელდება – დილოგიის კიდევ ერთი შთამბეჭდავი პარალელი სწორედ ამ წმინდან პატრიარქს უკავშირდება.

და რა სახსენებელია მუშნი ზარანდია თუ ედუარდ შევარდნაძე, როცა კირიონ მეორე და ზვიად გამსახურდია გვყავს?!

ანუ, როგორც მუხრან მაჭავარიანი იტყოდა, **„და ტოტის ტოტის და ტოტის ტოტის და ტოტის ტოტის ტოტი ყოველი საქართველოთი თუა სოველი, ვინ ეშმაკია თვით სამოელი?“**

ვინ მოთვლის, რამდენი სამოელია ირგვლივ?!

საბედნიეროდ, ისიც აშკარაა, რომ როსტომ ჩხეიძის განსახილველი წიგნი „საქართველოთი არის სოველი“...

* * *

უამრავ საინტერესო პასაჟს თუ ეპიზოდს მოიცავს ეს დილოგია.

და მაინც, რაც როსტომ ჩხეიძეს ზვიად გამსახურდიაზე დაუწერია, ყველაფერს მირჩევნია ერთი ეპიზოდი, ლიტერატურის ინსტიტუტში მათს ოცდაცხრა წლის წინანდელ შეხვედრას რომ აღწერს:

„ორომტრიალია. დერეფნის კარებს აქეთიქიდან მივადგებით, მე უკან გავდგები, შემოვა და...მომვარდება, ხელს მართმევს, ანთებულია, ატაცებული, მერე მკლავებს ორივე მხარზე მომავლებს: „რა იყო, ეს რა დაწერე პარნელზე!“ – და აღმატებულ ეპითეტთა ნაკადი იფრქვევა.

ეროვნული გმირის ტრაგიკულ ბედისწერაზეა ის ესეი, თუ როგორ გაგლეჯენ ნაწილ-ნაწილ ირლანდიელები მათი თავისუფლებისათვის მებრძოლ კაცს...

იქნებ საკუთარ თავსაც ხედავდა პარნელში, მის ხვედრშიც საკუთარ ხვედრს უგრძნობდა გული...

იქნებ თვითონ გადარჩენოდა ასეთ აღსასრულს, ასეთ მსხვრევას იმედებისა, იქნებ მისთვის მაინც ეგდოთ ყური: ნუ მიუგდებთ ჩემს თავს რუს მგლებს, ყმუილით რომ გარს მივლიანო. იქნებ არც რუსი მგლებისთვის მიეგდოთ მის თანამემამულეთ და არც თვითონ გაეგლიჯათ ნაწილ-ნაწილად.

ავი ბედისწერა სახიფათოდ ილანდებოდა“...

კიდეც მიუგდეს და კიდეც გაგლიჯეს ნაწილ-ნაწილად...

და ბოლოს კიდევ ერთი შთამბეჭდავი პარალელი:

„უმადურობა, უმადურობა... – გაიხსენებდნენ ილია ჭავჭავაძის მწარე გულისტკივილს... ნეტა ზვიად გამსახურდიაც ხომ არ განიცდიდა ამავეს?.. განა ისედაც არ ვგრძნობთ, რომ ამ ტკივილს ჩურჩულით მაინც გაამხელდა?“

* * *

ყველაზე მეტად რაც მომწონს, უკვე გითხარით.

ახლაკი იმას გეტყვით, რამაც ყველაზე მეტად შემძრა და ამაფორიაქა.

როცა სიზმრებში შეეცილებიან, როსტომის გაკვირვებას ამ კითხვას დაუპირისპირებენ: გვერდით დადგომიხარ? სწორედ ამას მოსდევს როსტომის განსაცვიფრებელი აღსარება: **„თავის მართლებას ვცდილობ, ჩემთვის, გუნებაში, მაგრამ გულის სიღრმეში რაღაც გამკრავს, რაღაც შემაშფოთებს და ვგრძნობ სინანულს, ვგრძნობ თვითგვემის მოურჩენელ ტკივილს:**

კიდევ კარგი, ქვა მაინც არ შემომაჩეჩეს, ეშმაკის ქვა.“

თითქმის არ (ანდა ძალიან ცოტა) მეგულება ქართველი, მსგავსი სინანულის საფუძველი რომ არ ჰქონდეს.

მაგრამ სინამდვილეში რამდენი გრძნობს ასეთ სინანულსა და თვითგვემის მოურჩენელ ტკივილს?

ვაი, რომ ძალიან ცოტა.

პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენი ბრალია, ჩვენი სისუსტეა ის, რომ დღესაც ბევრს უპყრია ხელთ ნებით აღებული და არა ვიღაცისგან შეჩეჩებული ეშმაკის ქვა; რომ თენგიზ სიგუა დღესაც ბედავს და საეჭვოდ გათამამებული, გაზეთის ფურცლებიდან აცხადებს, ძალიანაც კარგი ვქენით, საქართველოდან რომ გავაძევეთო(?!), ბედავს და ეს უტიფრობა, ფაქტობრივად, პასუხგაუცემელი რჩება...

* * *

ახალი რომანის გამოსვლა, რა თქმა უნდა, ლიტერატურული ფაქტია, მაგრამ თუ ის ბიოგრაფიულია და თანაც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება მხოლოდ ლიტერატურულ მოვლენად ვერ დარჩება.

ეს ის შემთხვევაა, როცა ფაქტი ბუნებრივად იქცევა აქტად.

ლიტერატურული ფაქტი – პოლიტიკურ აქტად.

როცა „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“ წიგნად გამოიცა, მისი წარდგინება კიდევ უფრო ბუნებრივად იქცა პოლიტიკურ აქტად. ეს კი, უწინარესად, ქალბატონი ლეილა ცომაიას პრინციპულობამ განაპირობა - ტრიბუნას რომ მოაცილა ის, ვისაც იქ გამოსვლის ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა.

დარწმუნებული ვარ, დღეს ამის აუცილებლობა არ შეიქმნება, ეს კი გულით მწადია: სწორედ დღეს ჩაეყაროს მყარი საფუძველი იმ სრულიად სამართლიანი იდეის ხორცშესხმას, რითაც როსტომ ჩხეიძე განსახილველ წიგნს ამთავრებს: იქნებ, ერთობლივი ძალისხმევით, ამ ხელისუფლებას მაინც შევასმინოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას 9 აპრილს უნდა ვზეიმობდეთ და არა 26 მაისს. ესენი მაინც დავარწმუნოთ, რომ სრულიად ამაოა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ისტორიული ღვაწლის მიჩქმალვის მცდელობა. ადრე თუ გვიან, მაინც **„მოაწევს ის ჟამიც, როდესაც ღველფიდან ამოიჭრება 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტიც და მისი უპირველესი შემოქმედის სახეებაც.“**

იოსებ ჟუმბურიძე

ქართველი შფოთისთავის „საქმენი საგმირონი“

ქართველების უმრავლესობას სააკაშვილმა თავი შეაძულა

გერმანულ გამოცემა „Der Spiegel“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც, უცხოურ პრესაში ბოლო დროს გამოქვეყნებულთაგან, შეიძლება ითქვას, თავისი მოცულობით ყველაზე ვრცელია (ავტორი - ქრისტიან ეში), მიხეილ სააკაშვილის უკრაინული ოდისეაა განხილულ-გაანალიზებული: რატომ დაინიშნა ოდესის ოლქის გუბერნატორად, რა გააკეთა, როგორ მართავდა, რატომ დაუპირისპირდა „თავის მეგობარ“ პრეზიდენტს და ბოლოს, როგორ მოხდა, რომ ექსპრეზიდენტი და ექსგუბერნატორი დღეს მოქალაქეობის არმქონე პირად იქცა, თუმცა ამის მიუხედავად, ევროპაში მაინც თავისუფლად დადის?

როცა პეტრო პოროშენკომ თავისი „მეგობარი“ მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა, თავდაპირველი გეგმა კეთილშობილურ მიზნებს ისახავდა — ეს საპორტო ქალაქი კორუფციისაგან უნდა გაწმენდილიყო და დემოკრატიული რეფორმების ვიტრინად უნდა ქცეულიყო. თითქოსდა დასაწყისში მიხეილ სააკაშვილმა აქტიური მუშაობა დაიწყო, მაგრამ მას ეგონა, რომ სიტუაციას სხვებიც ისე ხედავდნენ, როგორც თვითონ ხედავდა... და მოტყუვდა. **„მიხეილ სააკაშვილი ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარია და მას, როგორც ენერგიულ კაცს, სრულიად ვენდობიო“,** — ამბობდა პეტრო პოროშენკო მიხეილ სააკაშვილის გუბერნატორად წარდგენისას 2015 წელს. **„პეტრო პოროშენკო თავის მეგობრებს ფულის მიხედვით ირჩევდა. მე ფული არ მქონდა, ამიტომაც მე მისი მეგობარი ვერ ვიქნებოდი“,** — ამბობს მიხეილ სააკაშვილი დღეს.

საქართველოს ექსპრეზიდენტი უკრაინის პრეზიდენტის მიმართ ძალზე კრიტიკულადაა განწყობილი. თუმცა ორიოდე წლის წინათ სიტუაცია სხვაგვარი იყო — მიხეილ სააკაშვილი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მისთვის უკრაინის მოქალაქეობის მიღება და გუბერნატორობა ნამდვილად მაშველ რგოლს წარმოადგენდა. ცხადია, გუბერნატორობა ფრიად დაბალი დონეა ქვეყნის პრეზიდენტობასთან შედარებით — უცხო ქვეყანაში რეგიონული ჩინოვნიკობა საკუთარი სახელმწიფოს მეთაურის პოსტს ვერ შეედრება, მაგრამ ისიც ფაქტია: საქართველოში ორი ვადით მმართველობის დროს მან რეფორმები ისეთი ავტორიტარული ფორმით განახორციელა, რომ ქართველების უმრავლესობას მიხეილ სააკაშვილი შესძულდა. შედეგიც ლოგიკური იყო: 2012 წელს ხელისუფლებაში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი პარტიული კოალიცია მოვიდა, მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრეებიდან კი ზოგი ციხეში აღმოჩნდა, ზოგმა უცხოეთში გაქცევა მოახერხა. თვითონ მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტობის ვადის დასრულების შემდეგ ნიუ-იორკში ცხოვრობდა და უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა — „მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოღვაწის“ სტატუსით. მას ასეთი ცხოვრება არ მოსწონდა. უკრაინულმა მაიდანმა, როგორც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, „სულზე მიუსწრო“.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი სხვა თანამოაზრეების დანიშნვნა უკრაინის სახელმწიფო თანამდებობეზე იდეალურ კომბინაციას ჰგავდა: ქართველებს რეფორმების განხორციელების გამოცდილება ჰქონდათ, მათ ვარდების რევოლუცია ათი წლით ადრე მოახდინეს; ქართველებიც და უკრაინელებიც რუსეთის მიმართ ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი; ორივეს ევროპული ცხოვრების წესის დანერგვა სურდა... მოკლედ, გეგმები ფრიად კეთილშობილური ჩანდა. მაგრამ უკრაინაში სიტუაცია ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც საქართველოში იყო, კონტრასტულად „თეთრი და შავი“. ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ნება არ გამოიჩინა. იმ ფაქტორს, რომ პეტრო პოროშენკო, როგორც პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, უკრაინის ოლიგარქული სისტემის კლასიკური პროდუქტი რომ იყო, თავის დროზე ყურადღება არ მიაქციეს. **„ეჰ, მე რომ მაშინ ის მცოდნოდა, რაც დღეს ვიცი, მე მის წინადადებას არ დავთანხმდებოდიო“,** — ამბობს დღეს მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს ექსპრეზიდენტს ოდესაში რეალურად მაინცდამაინც ბევრი არაფერი საქმე არ გაუკეთებია: პლაჟის მესრები დაანგრია ბულდოზერით (თუმცა მოგვიანებით იგივე პლაჟები ისევ შემოღობეს), შეამცირა ბიუროკრატიული აპარატი გუბერნატორის ადმინისტრაციაში, გახსნა მოქალაქეთა მომსახურების ოფისი, მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო. სამაგიეროდ, კარგად წარმოებული პიარ-კამპანიით პირადი პოპულარობა უზრუნველყო. ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ უყვიროდა იგი მკვეთრი ქართული აქცენტით შინაგან საქმეთა მინისტრს არსენ ავაქოვს: **„შე ქურდო, შენი ადგილი ციხეშია! ეს ჩემი ქვეყანაა! მე უკრაინელი ვარ, გაეთრიე ჩემი ქვეყნიდან!“**.

გუბერნატორს და პრეზიდენტს შორის უთანხმოება თანდათანობით ისე გაღრმავდა, რომ მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგა. 2016 წლის შემოდგომაზე ექსგუბერნატორი საქართველოში დაბრუნებასაც კი გეგმავდა, თუმცა მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც მას სურდა და ამიტომ საბოლოოდ მაინც უკრაინულ პოლიტიკაში დარჩენა მოუწია, მოგვიანებით კი საკუთარი პარტია - „ახალი ძალების მოძრაობა“ ჩამოაყალიბა.

მიხეილ სააკაშვილს თუ დავუჯერებთ, იგი თავის ყოფილ „მეგობარს“ ბოლოს მალტაში შეხვედრია: **„პეტრო პოროშენკომ მომთხოვა, რომ მისი კრიტიკა შემეწყვიტა. ამ შემთხვევაში მე შესაძლებლობა მექნებოდა უკრაინაში პოლიტიკური კარიერის გაგრძელებისა, პარლამენტის წევრობაც აღმითქვა. მითხრა, თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ ზომებს მივიღებო“**.

მიხეილ სააკაშვილი პეტრო პოროშენკოს ინსტრუქციებს არ ასრულებდა. უფრო მეტიც — მან სატელევიზიო თოქ-შოუში ისეთი მომღერალი მიიწვია, რომელმაც პრეზიდენტისადმი შეურაცხმყოფელი სიმღერა შეასრულა — „შოკოლადის უკანალი“ (მინიშნებით იმაზე, რომ პეტრო პოროშენკო საკონდიტრო იმპერიის მფლობელია).

მოქალაქეობის ჩამორთმევა ყოფილმა პრეზიდენტ-გუბერნატორმა უკვე აშშ-ში ჩასვლისას შეიტყო, სადაც იგი ბიძამისს ეწვია, ნიუ-იორკში, ბრონქსში. ბრძანებულების მოტივაცია საკმაოდ აბსურდულია და დასავლეთისთვის უჩვეულო (რომლის დახმარებაზეცაა დამოკიდებული უკრაინა), მაგრამ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთვის სავსებით მისაღები: კარი დაუხურო „სიმშვიდის დამრღვევს“, როცა იგი საზღვარგარეთ იმყოფება. იმ ხანებში მიხეილ სააკაშვილმა ვერ მოახერხა ვერც დონალდ ტრამპთან და ვერც ჯონ მაკკეინთან დალაპარაკება, მაგრამ სამაგიეროდ შეხვდა აშშ-ის სპეციალურ წარმომადგენელს უკრაინის საკითხებში. მალე იგი პოლონეთში ჩავიდა.

როგორ მოახერხა პასპორტგაუქმებულმა მიხეილ სააკაშვილმა ვარშავაში ჩასვლა? პოლონეთის მმართველ პარტიაში („კანონი და სამართლიანობა“) მას კარგი ნაცნობ-მეგობრები ჰყავს. ამ პარტიის ექსლიდერი, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი მიხეილ სააკაშვილის ყველაზე აქტიური მოკავშირე იყო 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს. პოლონეთის ტელევიზიით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა „შეთქმულების თეორიაზე“ დაყრდნობით განაცხადა, რომ პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ავიაკატასტროფაში დაღუპვა რუსეთის პრეზიდენტის მოწყობილია: **„ვლადიმერ პუტინმა მასზე შური იძია იმიტომ, რომ ლეხ კაჩინსკი 2008 წლის აგვისტოში ჩემს მხარდასაჭერად თბილისში ჩამოვიდაო“**. რბილად რომ ვთქვათ, ეს უსაფუძვლო ვარაუდებია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი ისეთი ტიპია, ვისთვისაც სასურველი ყოველთვის სინამდვილეა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რუსეთს ეხება...

საქართველოს ექსპრეზიდენტი იმედოვნებს, რომ დასავლეთი უკრაინის პრეზიდენტზე ზეწოლას მოახდენს: პეტრო პოროშენკო მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში შესვლაზე დათანხმდება და მოქალაქეობის ჩამორთმევის საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდება. ჯერჯერობით უკრაინელი მესაზღვრეები საზღვარს ფხიზლად იცავენ... მიხეილ სააკაშვილი კი უკრაინულ ენას უფრო ღრმად სწავლობს — მოქალაქეობის დაბრუნებისათვის ენის ცოდნა დიდ მნიშვნელობას იძენს.

როგორია მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური პერსპექტივა?

მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია. „ახალი ძალების მოძრაობის“ („რუხ ნოვიხ სილ“) კიევის ოფისი დაცარიელებულია. მართალია, მიხეილ სააკაშვილი პარტიის ლიდერია, მაგრამ საქმეებს პარტიაში დავით საყვარელიძე (კიდევ ერთი ქართველი რეფორმატორი) განაგებს, რომელიც უკრაინის გენპროკურორის მოადგილედ მუშაობდა. „ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მუშაობით სისტემა გვარიანად შევფერთხეთ“, — ამბობს იგი, — **„რეფორმები გარედან მოსულმა ადამიანებმა უნდა გაატარონ, პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო კი უკრაინის შიდა (ოლიგარქიული) სისტემის ნაყოფია, მას წარმოდგენა არ აქვს რეფორმებზე“**. დავით საყვარელიძესაც უკრაინის პასპორტი აქვს, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, საქართველოს მოქალაქეობა მასაც დაკარგული აქვს. ასეთი სიტუაცია ბედის ირონიაა იმ ადამიანისათვის, რომელიც უკრაინაში იურიდიული ცოდნის გამოსაყენებლად ჩამოვიდა, სინამდვილეში კი პარტიული ბიუროკრატიის ნაწილად იქცა და პარტიის პოლიტიკურ პლატფორმას ამზადებს. ასეთი რამ მის გეგმებში იმ დროს არ შედიოდა, როცა მიხეილ სააკაშვილი და სხვა ქართველები უკრაინაში ჩავიდნენ.

მიხეილ სააკაშვილის — „პოლიტიკური ვარსკვლავის“ — გარეშე პარტიას პერსპექტივა არა აქვს, თუმცა მასთან ერთადაც მომავალი მაინცდამაინც ნათელი არ არის. ფაქტია, რომ მიტინგზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ჩატარდა მრავალმილიონიან კიევში, მხოლოდ ასიოდე კაცი მივიდა. როგორც ირკვევა, ექსპრეზიდენტის და ექსგუბერნატორის ურთიერთობა დასავლურ ელიტასთან უფრო ძლიერია, ვიდრე უკრაინულ საზოგადოებასთან.

პეტრო პოროშენკოსათვის ეს სასიამოვნო ამბავია. სიტუაციას ისეთი პირი უჩანს, რომ ქართველი შფოთისთავის „საქმენი საგმირონი“ მალე ისტორიას ჩაბარდება.

„Der Spiegel“ (გერმანია)
მოამზადა „ნიუსპრესმ“.

ფილადელფიაში სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 33 ადამიანი დაშავდა

ფილადელფიის ქალაქ აპერ-დერბიში მატარებლების შეჯახების შედეგად 33 ადამიანი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, მატარებელი სარკინიგზო სადგურში ბაქანზე მდგომ ცარიელ მატარებელს შეეჯახა. რა გახდა ავარიის მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

კატალონიაში ტერაქტებში ეჭვმიტანილებს ასამართლებენ

კატალონიის ტერაქტებში ეჭვმიტანილი 4 პირი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება. ისინი სასამართლოში გაძლიერებული დაცვის თანხლებითბ მიიყვანეს. მასშტაბური ტერორისტული აქტები ბარსელონასა და კამბრილსში 17 აგვისტოს განხორციელდა. ბარსელონას ცენტრში ფურგონი ფეხით მოსიარულეებში შეიჭრა, რამდენიმე საათში კი ანალოგიური ინციდენტი საკურორტო ქალაქ კამბრილსში მოხდა. თავდასხმებს 15 ადამიანი ემსხვერპლა, 100-ზე მეტი კი დაშავდა.

მიწისძვრას იტალიაში მსხვერპლი მოჰყვა

ძლიერი მიწისძვრა იტალიაში. 4,5 მეათედი მაგნიტუდის მიწისქვეშა ბიძგებს ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა. დაღუპულია ერთი და დაშავებულია 25 ადამიანი. სტიქიის ეპიცენტრი ტურისტებისთვის პოპულარული კუნძლი ისკია იყო. მაშველები ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების გადარჩენას ცდილობენ.

კოპენჰაგენში მოკლული ჟურნალისტის ცხედარი აღმოაჩინეს

მოკლული, სავარაუდოდ, შვედი ჟურნალისტი კიმ ვალია, რომელსაც სამართალდამცველები უკვე რამდენიმე დღეა, ეძებენ. ბოლოს ჟურნალისტი 10 აგვისტოს, კონსტრუქტორ პიტერ მადსენთან ერთად წყალქვეშა ნავში ნახეს. მადსენს ჟურნალისტის მკვლელობაში ადანაშაულებენ. ეჭვმიტანილი კი აცხადებს, რომ კიმ ვალი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და მისი ცხედარი ზღვაში გადააგდო.

თალიბანი ტრამპის სტრატეგიით უკმაყოფილოა

თალიბანის რადიკალური დაჯგუფება ტრამპის გამოსვლით უკმაყოფილოა. დაჯგუფების წარმომადგენლის ზაბიჰულა მუჯაჰიდის თქმით, თეთრი სახლის ლიდერმა ღიად განაცხადა, რომ ავღანეთში ომის შეწყვეტას არ აპირებს, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანაზე ეზრუნა. ავღანეთში ამერიკის ახალ სტრატეგიაზე ტრამპმა „ფორტ მაიერის“ ბაზაზე ვიზიტისას ისაუბრა. თეთრი სახლის ლიდერმა განაცხადა, რომ ავღანეთიდან სამხედრო კონტინგენტის დაუყოვნებლივ გამოყვანა დაუშვებელია. ცნობილი ხდება ისიც, რომ შეერთებული შტატები ავღანეთში დამატებით 4 ათასი სამხედრო მოსამსახურის შეყვანას გეგმავს.



ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ „BBC"-ᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ – Ე.წ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ: **„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲐᲜ. ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ".**

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ **„ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ"** ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔᲡ:

„ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲮᲐᲚ�გᲝᲠᲘᲡ (ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲝᲡᲘ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ �კᲕᲚᲐᲕ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲝᲠᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ) ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲔᲜ. ᲐᲛ ᲠᲐᲘᲝᲜᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲐᲛᲓᲔ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ", – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ.



ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲕᲠᲪᲚᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ Ე.წ. „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ" ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ: **„ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲔᲗᲐ�პᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲔᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ. ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲜ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲬᲚᲣᲓᲐᲕᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔ",** – ᲐᲛᲑᲝᲑᲡ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ" ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ „ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ" ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲡᲘᲔᲕᲐ. **„ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲜ",** – ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ „ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ" ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲮᲐᲩᲘᲠᲝᲕᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲡ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ �გᲐᲘᲕᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ, ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲗ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲖᲔ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ" ᲞᲠᲝᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ **ᲡᲝᲡᲝ ᲪᲝᲢᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ 12-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲝ 11-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ – ᲐᲜᲣ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘᲐ. ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲗ.

ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲪᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ **ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲪᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ: ᲘᲒᲘ ᲐᲮᲐᲚ�გᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐ �პᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲡ.

�პᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ) „ᲑᲘ-ᲑᲘ-ᲡᲘ"-Ს ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲥ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲐᲡ �გᲐᲛᲝᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲘᲒᲘ ᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ" ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲨᲝᲠᲡᲛᲭᲕᲠᲔᲢᲔᲚᲣᲠᲘᲐ. **„ᲛᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲐᲚᲮᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲩᲜᲘᲝᲜ. ᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲐ – ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲘᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲘᲥ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲚᲝᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ (ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ) ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ �გᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ.**

2008 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲙᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ. Crisis Group-ᲘᲡ 2010 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 2500 ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲝᲠᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ.

„BBC" (ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ)

ᲢᲠᲐᲛ�პᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ

2017 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲐᲘᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ �გᲐᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲔᲑᲐ. 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ �გᲐᲣᲥᲛᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ �გᲐᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ �პᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲕᲐᲨᲘᲜ�გᲢᲝᲜᲛᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲐ. ᲐᲡᲔ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ �პᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲗ, ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲜ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲝ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘ. ᲕᲘᲖᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ �გᲐᲘᲪᲔᲛᲐ. ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

„ᲘᲛ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ, 2017 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲐᲐᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲝ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ �გᲐᲪᲔᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲖᲔᲑᲘᲡ �გᲐᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ �გᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ. ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲝᲔᲑᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲗᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ �გᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲐ.ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲖᲝᲛᲔᲑᲡ, ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ – ᲩᲕᲔᲜ ᲯᲐᲕᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲠᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲖᲔ",** – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲔᲠ�გᲔᲘ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲛᲐ.

ᲠᲣᲡᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲡ�გᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲡᲚᲣᲪᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲨᲨ-

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი
კრედიტის/სესხის №8402-GE
პროექტის N P148048
დავალების სახელწოდება: პროექტის განხორციელების დამოუკიდებელი აუდიტი და გადახდებთან დაკავშირებული ინდიკატორების შემოწმება
კონტრაქტი/ RFP # SLRPIII/CS/CQS-06

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **„პროექტის განხორციელების დამოუკიდებელი აუდიტი და გადახდებთან დაკავშირებული ინდიკატორების შემოწმება“.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხარნგრძლივობაა 2 თვე.

დავალების მიზანი:

დამოუკიდებელი აუდიტის ძირითადი მიზანია პროექტის ფარგლებში გამოყენებული სისტემების (მაგ. მსოფლიო ბანკის ან ქვეყნის პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები, ჩარჩო შეთანხმებები ან პრაქტიკა, პროექტით გათვალისწინებული ამოცანებიდან გამომდინარე) განხილვა და შეფასება; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში ასახული შედეგების/გადახდებთან დაკავშირებული ინდიკატორების შესრულების და შესაბამისი ხარჯების შემოწმება/დადასტურება, პროექტის განხორციელების კრიტიკული შეფასება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:

- ზოგადი გამოცდილება აუდიტში;
- მსგავსი გამოცდილება პროექტის განხორციელების აუდიტში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში (2003 წლის შემდეგ).

<u>შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.</u>

<u>საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2017 წლის 7 სექტემბრის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Credit/Loan No: IBRD 8402-GE
Project No. P148048
Assignment Title: INDEPENDENT PERFORMANCE AUDIT AND VERIFICATION OF DISBURSEMENT-LINKED INDICATORS
Contract/RFP No: SLRPIII/CS/CQS-06

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **"INDEPENDENT PERFORMANCE AUDIT AND VERIFICATION OF DISBURSEMENT-LINKED INDICATORS".**

Estimated duration of assignment is **2 months.**

The Objective of Assignment:

The main objective of the IPAs will be to review and assess the use of the systems (e.g., World Bank or country's policies, guidelines, frameworks or practices depending on the relevant project activities) in the project, verify the reported eligible expenditures and the delivery of results/ DLIs reported by RD through the International Procurement and Donor Reporting Division (Foreign Projects Unit (FPU)), and critically assess the performance of the Project.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the **"Consultant's Qualification Selection"** procedures set out in World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Shortlisting criteria:

- General experience in audit
- Similar experience: assignments for project performance audit in the past 15 years (i.e. since January 2003);

The firm must be fully independent and must not be related in any way to (i) any of the contractors working on Secondary Road Asset Management Project (SRAMP), or (ii) the Monitoring consultant who have been retained by RD for Secondary Road Asset Management Project (SRAMP).

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

<u>The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.</u>

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **September 7, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ ჭიდაობა

დღე პირველი: ორი ბრინჯაო

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში დაიწყო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებმა ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვეს – მესამე ადგილებზე რობერტ კობლიაშვილი (85) და რევაზ ნადარეიშვილი (98) გავიდნენ.

ევროპის 2016 წლის ფინალისტმა კობლიაშვილმა პირველ წრეში ავსტრიელი ამერ ჰრისტანოვიჩი დაამარცხა – 2:1, მერე პოლონელ ტადეუშ მიხალიკს 4:0 სძლია, მაგრამ მეოთხედფინალი თურქ მეტეჰან ბასართან დათმო – 1:4. ამ უკანასკნელთან ნახევარფინალში წააგო რუსთა იმედმა დავით ჩაკვეტაძემ, რომელმაც პაექრობისას ტრავმა მიიღო და მაშინვე განაცხადა, რომ მესამე ადგილისთვის ვერ იჭიდავებდა. კობლიაშვილმა დამამშვიდებელში ბულგარელთა ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი ნიკოლაი ბაირიაკოვი ჩამოიშორა გზიდან –- 2:1 და ბრინჯაოც დაიბევა, რადგან ჩაკვეტაძე არ გამოუცხადდა.

წლეულს თბილისში კარტოზიას ტურნირზე რევაზ ნადარეიშვილმა სკანდალურ პაექრობაში აჯობა სომეხთა ოლიმპიურ, მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონ არტურ ალექსანიანს. პარიზში მათი გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა. ჯერ პასიურობისთვის არბიტრებმა ქართველი დასაჯეს – 0:1. მეოთხე წუთის მიწურულს, როცა ალექსანიანი ჩვენებურის წრიდან გაყვანას ცდილობდა, ნადარეიშვილმა ფანდი ჩაუტარა, რომელიც მსაჯებმა 2 ქულად შეაფასეს. მერე სომეხმა ფალავანმა წონასწორობა აღადგინა, საფინალო გონგამდე წუთით ადრე კი ოთხქულიანი ილეთიც შეასრულა, 6:2 გაიმარჯვა და საბოლოოდ ჩემპიონობაც მოიპოვა. ნადარეიშვილმა ამ პაექრობამდე ძირითად ბადეში ორი მეტოქე დაამარცხა – ჩეხი არტურ ომაროვი – 5:3 და კორეელი ჰაკბონ გუ – 4:2. დამამშვიდებელში მძიმე ბრძოლის შემდეგ იგი ირანელ სეიედმუსტაფა სეიედგანბარ სალეჰიზადეჰს დაუზავდა –– 4:4, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით მომდევნო წრეში გავიდა, იქ კი უზბეკ რუსტამ ასაკალოვს 3:1 მოუგო და მესამე ადგილი დაიკავა.

ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ შმაგი ბოლქვაძეს ახალ წონაში (71კგ) მსოფლიო დებიუტი არ გამოუვიდა – ძირითად ბადეში პირველივე ორთაბრძოლა ირანელ მოჰამადალი აბდოლჰამიდ გარაეისთან წააგო – 2:3.

მინდია წულუკიძემ (75 კგ) ზედიზედ სამ მეტოქეს აჯობა – ინდოელ სინგხ გურპრეტს (5:1), ამერიკელ მეისონ ტაილერ მანვილსა (4:2) და ფრანგ სემი სლამას (10:3), მეოთხედფინალში ბელარუს კაზბეკ კილოუსთან დამარცხდა (2:9), ბელარუსმა კი ნახევარფინალი დათმო და წულუკიძეც დამამშვიდებელში ვეღარ ჩაერთო.

ლექსო ცინცაძე

◎ ესღა გვაკლდა...

როცა ეშმაკს არ სძინავს

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია გუნდთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრა, თუმცა, ათენში გასამართ ტურნირში, სავარაუდოდ, მონაწილეობას ვერ მიიღებს.

როგორც ცნობილია, ზაზა ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ კოჭის ტრავმა საგანგაშო არაა, მაგრამ კალათბურთელს ერთი კვირის განმავლობაში სარეაბილიტაციო კურსის გავლა მოუწევს, რათა ევრობასკეტის მატჩებს მზადყოფნაში შეხვდეს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუშინ, გამთენიისას გაემგზავრა ათენში, სადაც ევრობასკეტისთვის მოსამზადებელ დასკვნით ეტაპს გაივლის და 23-25 აგვისტოს აკროპოლისის თასზე ითამაშებს. ტურნირზე ქართველი კალათბურთელები მასპინძელი საბერძნეთის (23 აგვისტო), სერბეთის (24 აგვისტო) და იტალიის (25 აგვისტო) ნაკრებებს დაუპირისპირდებიან. საბერძნეთიდან საქართველოს ნაკრები ისრაელში გადაინაცვლებს და 31 აგვისტოს ევრობასკეტის სასტარტო შეხვედრას გამართავს ლიტვის ნაკრებთან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ნადალი ისევ პირველია

დიდი სლემის 14-გზის ჩემპიონი რაფაელ ნადალი სამწლიანი პაუზის შემდეგ რეიტინგის სათავეში მოექცა. აქამდე ესპანელი რეიტინგის პირველი ჩოგბურთელის სტატუსს 142 კვირა ატარებდა. ცინცინატის მასტერსის გამარჯვებული გრიგორ დიმიტროვი მე-11 ადგილიდან მეცხრეზე გადავიდა.

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა წინა კვირასთან შედარებით ხუთი საფეხურით წაიწია წინ და მე-60 ადგილზეა.

1. რაფაელ ნადალი – 7645 ქულა,
2. ენდი მარეი – 7150,
3. როჯერ ფედერერი – 7145,
4. სტანისლას ვავრინკა – 5690,
5. ნოვაკ ჯოკოვიჩი – 5325,
6. ალექსანდრ ზვერევი – 4470,
7. მარინ ჩილიჩი – 4155,
8. დომინიკ ტიმი – 4030,
9. გრიგორ დიმიტროვი – 3710,
10. კეი ნიშიკორი – 3195.

კობა კობახიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

გიორგი ლორია „ანჟის“ შეუერთდა

რამდენიმე დღის წინათ ვწერდით, რომ გიორგი ლორიას მახაჩყალის „ანჟიში“ გადასვლა გადაწყვეტილი იყო. და აი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გუშინ ახალ გუნდსშეუერთდა.

ლორია ბოლოს სამარის „კრილიაში“ თამაშობდა. აღნიშნულ გუნდს ვადიმ სკრიპჩენკო თავკაცობდა, რომელიც ახლა „ანჟის“ მწვრთნელია.

გიორგი ერთწლიანი იჯარით გადავიდა დაღესტნურ კლუბში, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში მე-15 ადგილზეა. „ანჟიში“ კიდევ ერთი ქართველია – ჯაბა ლიპარტია.

რუნი მაინც უკმაყოფილოა

„ევერტონის“ შემტევმა უეინ რუნიმ „მანჩესტერ სიტისთან“ ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდგომ აღნიშნა, რომ შედეგით უკმაყოფილოა.

„პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ. ბევრი შანსი გვქონდა და ანგარიშიც გავხსენით. მოწინააღმდეგეს პატივს ვცემ, თუმცა, სამწუხაროა, რომ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ. თამაშის დაწყებამდე ვფიქრობდი, რომ ფრე კარგი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ახლა განსხვავებული აზრი მაქვს ბრძოლის ანგარიშზე“, – თქვა რუნიმ, რომლისთვისაც ამ შეხვედრაში გატანილი გოლი პრემიერლიგაში მე-200 გამოდგა.

მომდევნო ტურში „ევერტონი“ „ჩელსის“ დაუპირისპირდება.

გვარდიოლას მესისთვის ფული არ ეანაება

კატალონიის „ბარსელონას“ ყოფილმა და „მანჩესტერ სიტის“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ ლიონელ მესის დამატების სურვილი გამოთქვა. მისი თქმით, ინგლისური კლუბი მზადაა, ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი თანხა გაიღოს არგენტინელის შესაძენად.

მესის ხელშეკრულებით გამოსყიდვის საფასური 300 მილიონი ევროა.

„არ ვიცი, აქვს თუ არა რომელიმე კლუბს მესისთვის 300 მილიონი ევრო, მაგრამ თუ მისი ყიდვა შეიძლება, ფული აუცილებლად დაიხარჯება“, – თქვა გვარდიოლამ.

მართალია, ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მესისა და „ბარსელონას“ შორის ახალ კონტრაქტზე შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ მედიის ინფორმაციით, არგენტინელს კლუბიდან ნეიმარის წასვლისა და სატრანსფერო ბაზარზე „ბარსელონას“ თავკაცთა უშედეგო მუშაობის გათვალისწინებით, კატალონიელთა სამომავლო ამბიციები აეჭვებს, რითაც შესაძლოა „მანჩესტერ სიტიმ“ ისარგებლოს.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

დასამალი არაფერია

მთელმა საფეხბურთო სამყარომ უწყის, რომ ერთ დროს მადრიდის "რეალში" ბურთის მაგორებელი არგენტინელი სანტიაგო სოლარის ღვიძლი და – ლიზ სოლარი დღეს ცნობილი მოდელია და მისი თავისუფალი ქცევა ამერიკიდან ევროპამდე და მაღრიბიდან მაშრიყამდე ყველამ გაიგო.

განსხვავებით სხვა მრავალი კოლეგისაგან, ლიზ სოლარის არასოდეს დაუმალავს, რომ მისი გარეგნული თვალისმომჭრელობა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც სკალპელდალოცვილ პლასტიკურ ქირურგთა დამსახურებაა. ლიზ სოლარი ამას შესაძლებლობების სწორად გამოყენებას ეძახის და ამ შემთხვევაში მის ბაგეთაგან თავად ჭეშმარიტება ღაღადებს.

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა

ქართული ფსიქიატრიის ბერმუხა

შოთა გამყრელიძის გახსენება

ორი წელი გავიდა ბატონი შოთა გამყრელიძის გარდაცვალებიდან. ამ ორი წლის განმავლობაში ყველა, ვისაც რაიმე შეხება ჰქონია მასთან, დიდი სიყვარულითა და გულისტკივილით იხსენებს მას. ყოფილი საბჭოეთისა და მრავალი სხვა ქვეყნის ცნობილი ფსიქიატრები დღესაც არ ივიწყებენ ბატონ შოთას და ყურადღებას იჩენენ მისი ოჯახის მიმართ.

ბატონი შოთა გახლდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფსიქიატრიული ჟურნალის „სინაფსი“-ს (პარიზი), ს.ს. კორსაკოვის სახ. ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის ჟურნალის (მოსკოვი), ქართულენოვანი ფსიქიატრიული ჟურნალების „საქართველოს ფსიქიატრიის მოამბე“ და „ფსიქიკა“-ს სარედაქციო საბჭოსა და კოლეგიების წევრი, ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქე. ოქსფორდის უნივერსიტეტის წარდგინებით მისი ბიოგრაფია შეტანილია XXI საუკუნის გამოჩენილ ინტელექტუალების საპატიო წიგნში და დაჯილდოებულია შესაბამისი ვერცხლის მედლით. იგი, როგორც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. ბატონი შოთა იყო ქართული ფსიქიატრიული, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის სკოლის, 40-იანი წლების ფსიქიატრთა ბრწყინვალე თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი.

ბატონი შოთას ცხოვრება და მოღვაწეობა ყველასათვის სამაგალითო იყო: დიდბუნებოვანი ადამიანი, ჭეშმარიტი პროფესიონალი, დიდი მეცნიერი, ფსიქიატრთა მრავალი თაობის აღმზრდელი! იგი 93 წლის ასაკშიც, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, ჩვეული ენერგიითა და შემართებით აგრძელებდა როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ საქმიანობას. იშვიათი ნაყოფიერებით გამოირჩევა ბატონი შოთას სამეცნიერო საქმიანობა – 326 მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის, 15 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია მრავალ ენებზე. მას მჭიდრო მეცნიერული და მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცნობილ ფსიქიატრებთან.

ყოველივე ამასთან ერთად, ბატონი შოთა იყო ერუდირებული, განათლებული, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ბრწყინვალედ მცოდნე ადამიანი, რომელიც ამ ცოდნას ყოველთვის გატაცებით გვიზიარებდა კოლეგებს. მარტო ის რად ღირს, რომ ბატონი შოთას ძალზე მდიდარ ბიბლიოთეკაში ინახება უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხმა გამოცემის 200-ზე მეტი ეგზემპლარი.

ბატონი შოთა გამორჩეული იყო თავისი ჰარმონიული და გაწონასწორებული ხასიათით. მუდამ მშვიდი, დინჯი, კეთილგანწყობილი, მოსიყვარულე, მიმტევებელი, თავმდაბალი, ამასთან ძალზე მიზანდასახული, ენერგიული, შრომისმოყვარე, მტკიცე და პრინციპული, როდესაც საქმე ეხებოდა ფსიქიატრიის პრობლემებს ან მის მოქალაქეობრივ პოზიციას. იგი იყო უბადლო, ფსიქიატრთა წრეში უცვლელი თამადა და ქართული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი. მას დარჩა შესანიშნავი, დიდი, ტრადიციული, ქართული ოჯახი: ერთგული და მზრუნველი მეუღლე – ქალბატონი ნათელა, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, სადაც სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევს. მეუღლე – ქალბატონი ნათელა, პროფესიით ფსიქიატრია და დღემდე აგრძელებს მუშაობას ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში. ბატონი შოთას საქმიანობას ღირსეულად აგრძელებდა მისი ვაჟიშვილი, აწ გარდაცვლილი კაკო გამყრელიძე, დღეს კი – შვილიშვილი ირაკლი გამყრელიძე.

ბატონი შოთას დამსახურება ფსიქიატრიის დარგის განვითარებაში ძალიან დიდია. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მან აღზარდა ფსიქიატრთა მთელი თაობები, ამჟამად ამ დარგში მოღვაწე მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები.

ბატონი შოთას გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მასთან ერთად ვიყავი სამეცნიერო კონფერენციაზე და შემდგომ ბანკეტზე. რა დასანანია, რომ ეს ბოლო ღონისძიება აღმოჩნდა მისთვის. კონფერენციის ორგანიზატორებმა, ჩვეულებისამებრ ბატონ შოთას შესთავაზეს თამადობა. ბატონმა შოთამ ჯერ იუარა, მომიბრუნდა და მითხრა: „რა დროს ჩემი თამადობაა, ლამის ასი წლის ვარო“. დიდი ხვეწნის შემდეგ მაინც დაითანხმეს და ჩვეულებისამებრ შესანიშნავად გაუძღვა სუფრას. სამწუხაროდ, ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ აღარ მღეროდა და ცეკვავდა, თორემ ერთიცა და მეორეც შესანიშნავად ეხერხებოდა, რისი მოწმენი ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ.

ძალიან გვენატრება და გვაკლია ბატონი შოთას ყოველდღიური მოსალმება, სანდომიანი ღიმილი, მოკითხვა, მისი კომპეტენტური სიტყვა ფსიქიატრიის საჭირბოროტო საკითხების განხილვისას. ასეთი ადამიანები სამუდამო კვალს ტოვებენ ადამიანების გულში და დავიწყებას არ მიეცემიან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი შოთას სული!

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და
ნარკომანიის პრევენციის ცენტრის პროფესორი
მანანა ბოკუჩავა

ხორცის, ფრინველისა და რძის წარმოება შემცირდა!

მიმდინარე წლის II კვარტალში საქართველოში ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოება შემცირდა. ამის თაობაზე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ სოფლის მეურნეობის შესახებ გამოქვეყნებულ წინასწარ მონაცემებშია აღნიშნული. შესაბამისად, ხორცისა და ხორცის პროდუქტების მზარდი ფასები, რომელიც ფასების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში ფიგურირებს, არა მოხმარების ზრდის, არამედ მიწოდების შემცირების ხარჯზეა მიღებული.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის II კვარტალის ბოლოსთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 მლნ 18 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8.5%-ით ნაკლებია. აქედან ფურის სულადობამ 492.3 ათასი სული შეადგინა.

ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 5.0%-ით გაიზარდა და 1 მლნ 231 ათას სულს მიაღწია. საინტერესოა, რომ ცხვრის ექსპორტი საქართველოში საკმაოდ პერსპექტიულ სფეროს განეკუთვნება და მასზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება, ხარისხობრივი და გემოვნების თავისებურებათა გამო. თუმცა ამ ბიზნესის განვითარებას ხშირად სწორედ წარმოების საკმაოდ მცირე მასშტაბი და ისიც უშლის ხელს, რომ ქართველი მწარმოებლების პროდუქცია აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრების მასშტაბურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. 5%-იანი ზრდა, რომელიც მიმდინარე წლის 6 თვეში აღირიცხა, ამ თვალსაზრისით მიზერულია და რეალურ ძვრებს ბაზარსა და მიწოდებაზე ვერ ახდენს.

გარკვეული მატება იყო ღორის ხორცის წარმოებაშიც – ღორის სულადობამ 194.6 ათასი სული შეადგინა, რაც 10.4%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემცირებულია ფრინველის წარმოებაც. 2017 წლის II კვარტალის ბოლოსთვის ფრინველის რაოდენობამ 11,7 მლნ ფრთა შეადგინა, რაც 0.4%-ით ნაკლებია 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის შემცირება რძის წარმოების მასშტაბზეც საკმაოდ უარყოფითად აისახა.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის II კვარტალში რძის წარმოებამ 183.6 მლნ ლიტრი შეადგინა,რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.7%-ით ნაკლებია.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, სტატისტიკა ასეთია: 2017 წლის II კვარტალში ხორცის წარმოებამ 14.4 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2016 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 13.8 პროცენტით ჩამორჩება, ხოლო კვერცხის წარმოებამ 151.4 მლნ ცალი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე 4.2%-ით ნაკლებია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 2016 წლიდან გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას დაეფუძნა.

„საქსტატმა“ განახორციელა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. გადაანგარიშება განხორციელდა „საქსტატის“ სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად და შემცირების შესახებ მონაცემებიც ამ სტატისტიკურ ანალიზს ემყარება.

ნინო ევგენიძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა შპს „ენმაოილის“ განცხადება გ.ზ.შ. ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ, სადაც საჯარო განხილვის თარიღში დაშვებულია შეცდომა, ნაცვლად 2017 წლის 5 ოქტომბრისა, უნდა იყოს 2017 წლის 10 ოქტომბერი.

შპს „ენმაოილის“ ადმინისტრაცია

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 11 აგვისტოს №1-1/358 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი–რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I –III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის 1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2017 წლის 11 აგვისტოს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/358 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“**, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

1. შპს „არჯევანი” (ს/6202052571) - უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №01.18.12.007.003, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი 563 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 24;

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

სახიფათო ბატარეიები

პატარა ბავშვები უფროსებმა უამრავ ხიფათს რომ უნდა მოარიდონ, სავსებით გასაგებია, მაგრამ, თურმე, არსებობს ისეთი საფრთხეებიც, რომლებზეც ნაკლებად თუ ვფიქრდებით.

ერთი ასეთია მართვის პულტის ბატარეის... გადაყლაპვა. თუკი ის ბავშვის საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვდება, უკვე ორ საათში შეუძლია ქიმიური და ელექტროქიმიური რეაქციების გამოწვევა, რაც ქსოვილების ნეკროზს გამოიწვევს და შეიძლება საყლაპავიც გახვრიტოს!

ამიტომ **პატარებს ბატარეიებზე მომუშავე ყველანაირი პულტი საგანგებოდ დაუმალეთ!** ნურც იმას დაუშვებთ, რომ უფროსების უმეთვალყურეოდ ისეთი სათამაშოებით ითამაშონ, რომლებიც ბატარეებზე მუშაობს.

რაზე იცინიან... ვირთაგვები?

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვირთაგვებს განცდის უნარი აქვთ და საკუთარი ემოციების... ადამიანებივით გამოხატვა შეუძლიათ, ოღონდ ამას... ყურებით აკეთებენ.

გარდა ამისა, მღრღნელები ასევე რეაგირებენ ღიტინზე, რომელიც დიდადაც სიამოვნებთ, რასაც ერთგვარი „მხიარული“ შეძახილებით გამოხატავენ, ოღონდ ადამიანის ყურს მათი გარჩევა არ შეუძლია.

თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ იუმორი, რომლის უნარს ზოგჯერ სხვადასხვა ცხოველს, მათ შორის, ვირთაგვებსაც მიაწერენ ხოლმე, ძალიან რთული ემოციაა, რომელსაც ისინი ვერ ძლევენ. ადამიანის ემოციების გაგება და გარკვეულ შემთხვევებში მათდამი თანაგრძნობის გამოხატვა მხოლოდ ჩვენს გვერდით ბინადარ ცხოველებს შეუძლიათ. ამდენად, იუმორის მსგავსი ერთგვარი გრძნობა აქვთ ძაღლებს, მაიმუნებს.

წითელი მოცვის „აკომპანემენტით“



ნორვეგიული სამზარეულოს თავისებურებანი ამ ქვეყნის ბუნებრივი რესურსებითაა განპირობებული. ყოველდღიურ კვებაში ნორვეგიელები ერთსა და იმავე სურსათს მოიხმარენ, ამიტომ გემოს მათ საკმაზებითა და სანელებლებით უცვლიან.

ყველაზე პოპულარული მწვანილია კამა, ყველაზე გავრცელებული საწებელი კი მომჟავო-მოტკბოა, რომელიც მთელი სკანდინავიისთვისაა დამახასიათებელი. უამრავი კერძის ერთგვარ „თანმხლებ“ დანამატად კი ნორვეგიელთა უმრავლესობისათვის წითელი მოცვია.

განცხადება

2017 წლის 13 ოქტომბერს, 14 საათზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჩოხატაური, წერეთლის ქუჩა №2) გაიმართება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდ. გუბაზეულზე და მდ. ყვირალაზე ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (ზოტი 1 ჰესი და ზოტი 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს დერივაციული ტიპის არარეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ჩოხატაური, წერეთლის ქუჩა №2;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი** №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **კობა რატიანი. ტელ: 577 15 20 72;** Email: kratiani@grpc.ge;
- **გიორგი ბჟალავა. ტელ: 595 28 75 60;** Email: goga@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ზოტი ჰიდრო“-ს ადმინისტრაცია

ინგლისის დედოფალი ტახტის დათმობას არ აპირებს

სულ ახლახან მასმედია აცხადებდა, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე თავისი დაბადების დღის 95 წლისთავზე სამეფო ტახტს თავის ვაჟს პრინც ჩარლზს გადაულოცავდა.

როგორც ჩანს, მონარქი სამეფო ტახტის დატოვებას არ გეგმავს. მან განაცხადა, რომ თავისი ვალი სამშობლოს წინაშე ბოლომდე უნდა მოიხადოს და რომ სამეფო გვირგვინის შვილისთვის დათმობას არ აპირებს.

ფრანგი დიზაინერი ჯოლისა და პიტის წინააღმდეგ

ფრანგი არქიტექტორი ოდილ სუდანი წლის სკანდალურად განქორწინებულ, ჰოლივუდურ წყვილს ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტს სასამართლოში უჩივის.

მსახიობებს სუდანი თავიანთი ფრანგული მამულის „შატო მირავალის“ დიზაინის შესაცვლელად დაუქირავებიათ, მაგრამ ვარსკვლავებს შესრულებული სამუშაოების ნაწილის თანხა არ გადაუხდიათ.

დიზაინერმა სარჩელი აპრილში შეიტანა სასამართლოში, მაგრამ დღემდე ამ ამბის გახმაურებისგან თავს იკავებდა (მსახიობების რეპუტაციას უფრთხილდებოდა).

„მეგონა, მათი სახლის არქიტექტორობა სახელს უფრო მეტად გამითქვამდა, მაგრამ წყვილის გადაუხდელმა ქვითრებმა ჩემი ფირმა თითქმის გაკოტრებამდე მიიყვანა“, – აცხადებს ოდილ სუდანი.

ანჯელინამ და ბრედმა შატო რამდენიმე წლის წინათ 45 მილიონ ევროდ შეიძინეს. განქორწინების მიუხედავად, ისინი მამულის გაყიდვას არ აპირებენ. თვლიან, რომ ეს უზარმაზარი ინვესტიციაა მათი შვილების მომავლისთის.

ქალაქი ჩიკაგო კრიმინალურ „დიდებას“ იბრუნებს

აშშ-ის მოსახლეობის რაოდენობით რიგით მესამე ქალაქი ჩიკაგო კრიმინალური გარჩევების ბუდე გახდა.

ბოლო რამდენიმე დღეში 6 ადამიანი დაიღუპა და 33 დაშავდა, ქუჩური გარჩევების დროს მომხდარი შეტაკებების შედეგად.

ქალაქის პოლიციას ათეულობით ქუჩის ბანდასთან უწევს ბრძოლა.

ბოლო წლის განმავლობაში, ჩიკაგოში მსგავსი შემთხვევების დროს 760 ადამიანი დაიღუპა. უფრო მეტი, ვიდრე აშშ-ის ორ უდიდეს ქალაქ ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში ერთად.

საერთაშორისო კრიმინალური დედაქალაქის სახელი ჩიკაგომ 1920-იან წლებში მიიღო. როდესაც კრიმინალური დანაშაულების თავში ცნობილი განგსტერი ალ კაპონე იდგა. იმ პერიოდის ჩიკაგოში 1000-მდე დამნაშავეთა ბანდა აღირიცხებოდა.

იმედია, ეს მშვენიერი ქალაქი კრიმინალთან ბრძოლას მოახერხებს და მე-20 საუკუნის 20-იან წლებს აღარ დაუბრუნდება.

FACEBOOK - მაშველი...

აშშ-ის შტატ ნიუ ჯერსის ქალაქ ეპინგში მცხოვრები 61 წლის ქალბატონი აუზში დახრჩობას „ფეისბუქმა“ გადაარჩინა.

ქალს საკუთარი ეზოს აუზში ცურვისას კიბე ჩაუტყდა და ბევრი მცდელობის მიუხედავად, იქიდან ამოსვლას ვერ ახერხებდა. ასაკოვანი ქალბატონი ხვდებოდა, რომ ცუდად იყო და რაღაც უნდა მოეფიქრებინა. ირგვლივ არავინ ჩანდა და მისი ყვირილიც არავის ესმოდა.

ბოლოს გაახსენდა, რომ აუზთან, შეზლონგზე პლანშეტი ჰქონდა. აუზის გასაწმენდი ჭოკის საშუალებით, როგორღაც მოახერხა მისი ახლოს მიტანა. შემდეგ კი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე მეზობლებს დახმარების მესიჯი გაუგზავნა ტექსტით „911“ – რამდენიმე წუთში სამეზობლო და პოლიცია ეზოში გაჩნდა და ქალბატონი წყლიდან უვნებლად ამოიყვანეს.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3910; ევრო - 2.8099;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0818;
100 რუბლი - 4.0530; თურქული ლირა - 0.6821;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4071;
1000 სომხური დრამი - 4.9937.

ამინდი 23 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge